ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 25 დეკემბერი 2001 №246 (1519) | ფასი 50 თეთრი


# ძველმა ახალ წელს ფეხბურთი ასესხა

თოვს. უფრო ზუსტად, დასავლეთ ევროპაში თოვს. ეს რომ ნაღდად ასეა, სპორტული გაზეთიდანაც შეგიძლიათ შეიტყოთ. ბუნების ჭირვეულობის გამო წინა უქმეებზე ევროპაში ოცდათორმეტი მატჩი გადაიდო. აქაც დავაზუსტოთ — მაღალ დივიზიონებში გადაიდო ამდენი, თორემ ჩამლილი სამოყვარულო მატჩები სად ვითვალოთ.

ეს კი, ბუნების ჭირვეულობა რომ ვახსენეთ, კარგად არ გამოგვივიდა — ზამთარია, დღეს კათოლიკური შობაა, ახალი წელიც კარს მოგვდგომია და თოვლი რომ არ მოსულიყო, ბუნების ჭირვეულობა სწორედ ეგ იქნებოდა. ალბათ, საფეხბურთო კალენდრების შემდგენელთა ჭირვეულობასთან უფრო გვაქვს საქმე. აბა, როგორია, სელტიკელები აბერდინში იმაზე ფიქრობდნენ, როგორმე ტრიბუნებიდან ნასროლი თოვლის გუნდები ავიცილოთო...

აგერ, ესპანეთი, ვინ არის იქ საშემოდგომო ჩემპიონი? პირველ ადგილზე „დეპორტივოა“, მაგრამ „ალავესს“ რომ თამაში მარაგში აქვს და გალისიელთა გადასწრება შეუძლია? და თუ რატომ ჩაიშალა „ალავესის“ მატჩი მადრიდში „რაიო ვალეკანოსთან“, ვფიქრობთ, განმარტება არ სჭირდება.

ისე ჩანს, გერმანელები ყველაზე ჭკვიანები ყოფილან, სხვებზე ადრე დაიწყეს არდადეგები. წინა უქმეებზე კი მათ იტალიელები და ესპანელები შეუერთდნენ.

მოგეხსენებათ, გაისად, გაზაფხულის ბოლო დღეს, სეულში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება, რის გამოც ევროპელ ბობოლებს საახალწლოდ წესიერად დასვენების საშუალება არ აქვთ — სეზონი დროულად უნდა ჩაამთავრონ, რის გამოც ესპანეთმა და იტალიამ მომდევნო ტური უკვე 6 იანვრისთვის დათქვეს. ვითომ იქამდე თოვლი დადნება?

გერმანია, იტალია, ესპანეთი... და სად არის ინგლისი? ინგლისი ისევ კუნძულებზეა. ინგლისური ფეხბურთი ისევ სტადიონებზე — ხვალ პრემიერლიგაში მორიგი ტურია და ახალ წელსაც ტური იქნება.


REUTERS

ლიდსი — ნიუკასლი. ლი ბოიერი (მარცხნივ) დაბრუნდა, გაიტანა, მაგრამ „ლიდსს“ ამანაც ვერ უშველა

ნუთუ ინგლისში არ თოვს, ან დასვენება მაინც არ უნდათ? როგორ არა, თოვს, „მიდლსბრო“ — „ფულემიც“ ამ მიზეზით გადაიდო, დასვენება და გართობა კი ინგლისელებს რომ უყვართ... აგერ, ორიოდ დღის წინ ერთ ვესტჰემელს, უგონოდ მთვრალს, ბარის დახლი საპირფარეშო ეგონა და ზედ არ მოისაქმა?! მაგრამ ეთამაშებათ ამ ინგლისელებს და ითამაშონ. ბოლოს და ბოლოს, ქომაგს, რომელსაც ახალი წლის სამზადისიც ვერ ავიწყებს ფეხბურთს, გასართობი ხომ უნდა.

ბოლოს კი, ზემოთ ნათქვამს მივუბრუნდეთ, გერმანელები ყველაზე ჭკვიანებად რომ მოვიხსენიეთ. შევცდით — ჩვენმა ფედერაციამ უფრო ადრე გამოაცხადა არდადეგების დაწყება.

იხილეთ მეოთხე, მეხუთე და მეექვსე გვერდები



ირაკლი მეძმარიაშვილმა სპორტსმენებს არაფერი დაუკარგა

# სადღაა სპორტში მოსაპარი ფული?!

მთელი წელი უსახსრობაზე მოწუწუნე სპორტის დეპარტამენტის შენობას კვირა ღამით ურწმუნო ხალხი ესტუმრა და გულმოდგინედ დაიწყო იმის ძიება, რისმა არქონამაც ჩვენი სპორტი დააქცია. სამოქმედოდ შეირჩა ტერიტორია დეპარტამენტის თავმჯდომარის, ირაკლი მეძმარიაშვილის კაბინეტიდან მთავარი ბუღალტრის სეიფამდე.

– მძარცველებს მხოლოდ ფული აინტერესებდათ – გვითხრა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მერაბ მეტრეველმა – ირაკლი მეძმარიაშვილის კაბინეტში ბევრი ღირებული ნივთი იყო, რომლებისთვისაც ქურდებს ხელი არ უხლიათ. ღია დაგვხვდა მთავარი ბუღალტრის ოთახში მდგარი სეიფი, რომელიც ხელმრუდეთა ვიზიტამდეც ცარიელი იყო. ეტყობა, მათ არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ და ეგონათ, სპორტსმენთათვის განკუთვნილი პრემიების თანხა, რომელიც უკვე გავეცით, ჯერაც იქ იყო.

# ბალდათთან ბაასი გაიოლდა

## ბენდელას თასი

**კვირას** სპორტის სასახლეში „ბენდელას თასის" საიუბილეო, მეათე გათამაშება დაიწყო. ტურნირში სამ ჯგუფად დაყოფილი თორმეტი გუნდი მონაწილეობს. დღის პირველ ნახევარში კი ბენდელას თასისთვის 10 წლის ბავშვები ეპაექრებიან ერთმანეთს.

ტურნირის გახსნის დღესვე მონაწილეებმა სენსაცია შემოგვთავაზეს. შარშანდელმა ჩემპიონმა „ნაძალადევმა" ვერაფერი გააწყო „საბურთალოსთან" და დიდი ანგარიშით 1:5 დამარცხდა. დავით მუჯირმა და კომპანიამ თასის მფლობელებს მცირე შანსიც არ დაუტოვა და რომ არა „ნაძალადევის" მეკარე აკაკი დევაძე, ანგარიში უფრო კატასტროფული იქნებოდა. თავად მუჯირმა ამ შეხვედრაში ჰეთ თრიქი შეასრულა, რასაც ვეტერანი ბუბა ტყავაძის ულამაზესი გოლიც მოჰყვა, „ნაძალადევმა" კი მხოლოდ შარშანდელი ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელის, გოგა მოსულიშვილის გოლით უპასუხა.

„ბ" ჯგუფისვე მეორე წყვილში ბაღდათის „ბაასი ლიდერმა" სოხუმის „ცხუმს" 3:1 სძლია. თორთლაძის დუბლს და დევდარიანისა გოლს სოხუმელთაგან იური გაბისკირიამ უპასუხა პრესტიჟის გოლით.

„ბ" ჯგუფის მატჩში, „შევარდენი" — „ცხინვალი" დედაქალაქელებმა ხუთი უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს. ამას მეორე ნახევარში ერთიც დაუმატეს და საბოლოოდ 6:1 იმარჯვეს. ამავე ჯგუფის მეორე მატჩში „თბილისმა" კახაბერ დაუშვილის გოლით დაამარცხა „დინამო 2".

„გ" ჯგუფში გამარჯვებებით დაიწყეს ტურნირი საქართველოს მეცამეტე ეროვნულ ჩემპიონატის ლიდერებმა — ქუთაისის „ტორპედომ" და თბილისის „ლოკომოტივმა". „ტორპედომ" ვიტ ჯორჯიელებით დაკომპლექტებულ თი-ბი-სის ვახტანგ აკოფიანისა და რევაზ ქემოკლიძის გოლებით სძლიეს, რკინიგზელებმა კი დავით სირაძის ერთადერთი გოლი იკმარეს „ზოოვეტთან" მატჩში.

პირველ ტურში არცერთი ფრე არ დაფიქსირებულა და გამარჯვებულ გუნდებს მშვენიერი შანსი აქვთ მეოთხედფინალში გასასვლელად. თუმც უიმედო სიტუაციაში არც დანარჩენები არიან. მით უმეტეს, მატჩები ისეთ დაძაბულ და ხისტ ბრძოლებში მიმდინარეობს, რომ ყველაფერია მოსალოდნელი. აქვე ვთქვათ ისიც, რომ წინა წლებთან შედარებით წლეულს უფრო ცოტა ლეგიონერი მონაწილეობს ტურნირში, რითაც გათამაშებამ ერთგვარი ხიბლი დაკარგა, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, ლეგიონერები მოგვიანებით ეწვევიან სპორტის სასახლის გაყინულ შენობას და „ბენდელას თასიც" ჩვეულად „გახურდება".

მეორე ტური თი-ბი-სი — „ზოოვეტის" მატჩით დაიწყო. ორივე გუნდმა წინა დღეს მარცხი იწვნია და ამ შეხვედრაშიც ფეხის გადაბრუნება ჯგუფში ჩარჩენის ტოლფასი იყო. ეს ყოველივე მატჩს კარგად დაეტყო. მეტოქეები საკმაოზე მეტად ფრთხილობდნენ და იმაზე ფიქრობდნენ, საკუთარ კარში გოლი არ გაეშვათ. თუმც მეორე ტაიმში თი-ბი-სიმ იძალა და კობიაშვილ-არეშიძის გოლებით ხასიათი გამოიკეთა.

ქვეჯგუფის ლიდერებმა — „ტორპედომ" და „ლოკომოტივმა" კი გამარჯვებული ვერ გამოავლინეს. ახალგაზრდული შემადგენლობით მოთამაშე რკინიგზელები მეტოქეს არ შეეპუვნენ და მიუხედავად პირველ ტაიმში 0:1 ჩამორჩენისა, ბესიკ ვლასოვის გოლით ანგარიში გაათანაბრეს. უთავდამსხმელოდ მოთამაშე „ტორპედოს" შეტევის ხაზში მერანელი იოსებ დევიძე ჰყავდა გამწესებული. რევაზ ძოძუაშვილს გუნდში კიდევ ერთი ახალწვეული, რუსეთმოვლილი თორნიკე რუხაძე თამაშობს.

მეორე ტურის ყველაზე თვალსაჩინო მატჩი კი „საბურთალო" — „ბაასი ლიდერი" გამოდგა. წინა დღის სენსაციის ავტორებმა, საბურთალოელებმა, ეს შეხვედრაც რიხით დაიწყეს და გიორგი ანჩაბაძისა და გელა ქორიძის გოლებით 2:0 დაწინაურდნენ, თუმც ბაღდათელებმა ამას სეფერთელაძის საპასუხო მიაყოლეს. „ბაასს" კიდევ ჰქონდა გატანის არაერთი შანსი, მაგრამ გიორგი ლომაიას ვერაფერი მოუხერხა. საბოლოოდ, „საბურთალომ" შეძლო მატჩის სასურველი ანგარიშით დამთავრება და ორი მატჩიდან ორი მოგებით მეოთხედფინალში გასვლა გაინაღდა.

მეორე მატჩიც სავალალოდ დაიწყო „ნაძალადევისთვის". ჩემპიონებმა თავიდანვე მწვავედ შეუტიეს „ცხუმს", მრავალი საგოლე შანსიც ჰქონდათ, თუმც ვეტერანი გია ბაბუაძე არ აპირებდა გოლის გაშვებას. ბაბუაძემ ისეთი ბურთები მოიგერია, ბევრ ახალგაზრდა მეკარეს შეშურდებოდა. შეტევებში გართულმა „ნაძალადევმა" კი ზურგი მოიშიშვლა და რცხილაძემ სოხუმელები დააწინაურა. თუმც თბილისელებმა გაიხსენეს, რომ ერთ დროს მათი მძლეველი არავინ იყო და არ გატყდნენ. მშვიდად ლელად მათ ისევ და ისევ მოუსვენარი გოგა მოსულიშვილი მოევლინათ. მან მცირე დროში დუბლი შეასრულა და შეხვედრაში გარდატეხა მოახდინა. ამას შალვა ხუჯაძემ და „ლატვიელმა" თამაზ პერტიამ კიდევ ორი დაუმატეს და საბოლოოდ 4:1 გაიმარჯვეს.

ასეთივე ანგარიშით დაამარცხდა „შევარდენი" „თბილისმა". თუმც კარგა ხანს ანგარიში საყაიმო იყო — თბილისელი სანიკიძის გოლს სულიკო დავითაშვილმა სწრაფადვე უპასუხა. მერე კი „ფიურტელი" გიორგი ღეკანოსიძით გაძლიერებულმა „თბილისმა" საქმეს ხელი მოჰკიდა და სამი უპასუხო გოლი გაუტანა მეტოქეს. თავი დაუშვილმა, სალარეიშვილმა და კვლავ სანიკიძემ გამოიჩინეს.

იოლად გაიმარჯვა თბილისის „დინამო 2"-მაც. ოთარ კორღალიძის შეგირდები შელიასა და მიქავას გოლებით დაწინაურდნენ. მათ მერეც არაერთი ხიფათი შექმნეს „ცხინვალის" კართან, თუმც სრულიად უწყინარ სიტუაციაში საკუთარ კარში მიიღეს გოლი და მატჩმაც თითქოს ინტრიგა შეიძინა. ამან დიდხანს ვერ გასტანა — თბილისელთა კაპიტანმა მუმლაძემ ყველაფერს წერტილი დაუსვა — 3:1.

ორი ტური უკანაა. დღეს ჯგუფური ეტაპის ბოლო, მესამე ტურია, რითაც მეოთხედფინალისტთა ვინაობა გაირკვევა. ამ ეტაპიდან კი, ალბათ, სხვა ლეგიონერებიც ჩაერთვებიან და ტურნირიც უფრო საინტერესო გახდება.

**ქახა ზალამბერიძე**



„ბენდელას თასზე" ბურთი დავით მუჯირმაც (მარჯვნივ) გააგორა

23 დეკემბერი

**შევარდენი 6:1 ცხინვალი**

გოლები: გოლეთიანი (2), დავითაშვილი (2), ბოლქვაძე, ბაქრაძე; ფოფხაძე

გაფრთხილება: დავითაშვილი

**ცხუმი 1:3 ბაასი**

გოლები: გაბისკირია; თორთლაძე (2), დევდარიანი

**ლოკომოტივი 1:0 ზოოვეტი**

გოლი: სირაძე

**თბილისი 1:0 დინამო2**

გოლი: დაუშვილი

გაფრთხილება: სანიკიძე, ქუხილავა; ზიშზიბაძე

**ტორპედო 2:0 თი-ბი-სი**

გოლები: აკოფიანი, ქემოკლიძე

გაფრთხილება: გ. შენგელია; ახალაძე

**ნაძალადევი 1:5 საბურთალო**

გოლები: მოსულიშვილი; დ. მუჯირი (3), ტყავაძე, ცომაია

გაფრთხილება: დევაძე

24 დეკემბერი

**თი-ბი-სი 2:0 ზოოვეტი**

გოლები: თ. კობიაშვილი, გ. არეშიძე

**საბურთალო 2:1 ბაასი**

გოლები: ანჩაბაძე, გელა ქორიძე; სეფერთელაძე

**დინამო 2 3:1 ცხინვალი**

გოლები: შელია, მიქავა, მუმლაძე; სამადაშვილი

**თბილისი 4:1 შევარდენი**

გოლები: სანიკიძე 2, დაუშვილი, სალარეიშვილი; დავითაშვილი

**ტორპედო 1:1 ლოკომოტივი**

გოლები: აბრამიძე; ვლასოვი

**ნაძალადევი 4:1 ცხუმი**

გოლები: მოსულიშვილი, ხუჯაძე, პერტია; რცხილაძე

„ა" ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| შევარდენი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:5 | 3 |
| დინამო 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ცხინვალი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | 0 |

„ბ" ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბურთალო | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| ბაასი ლიდერი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ნაძალადევი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:6 | 3 |
| ცხუმი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

„გ" ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| თი-ბი-სი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ზოოვეტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

### ბავშვთა ტურნირი

*23 დეკემბერი: ირაო 1 (თბილისი) — მემორიალი (ქუთაისი) 2:0, მთავრის გლობუსი (თბილისი) — თბილისი 2000 0:1, კოლხეთი (ფოთი) — ირაო 2 (თბილისი) 1:3, ვაკე 91 (თბილისი) — დინამო 2 (თბილისი) 2:4, ნორჩი დინამოელი (ქუთაისი) — დინამო (ბათუმი) 0:1, შევარდენი 1906 (თბილისი) — ბათუმი 2:4, საბურთალო 2 (თბილისი) — დინამო 1 (თბილისი) 2:0, საბურთალო 1 (თბილისი) — ოლიმპიკი (თბილისი) 0:5*

*24 დეკემბერი: ვაკე 91 (თბილისი) — დინამო 1 (თბილისი) 0:3, მთავრის გლობუსი (თბილისი) — დინამო (თბილისი) 0:2, კოლხეთი — ოლიმპიკი (თბილისი) 2:3, ირაო 1 (თბილისი) — ბათუმი 3:0, ნორჩი დინამოელი (ქუთაისი) — თბილისი 2000 1:3, შევარდენი 1906 (თბილისი) — მემორიალი (ქუთაისი) 3:0, საბურთალო 2 (თბილისი) — დინამო 2 (თბილისი) 2:0, საბურთალო 1 (თბილისი) — ირაო 2 (თბილისი) 0:1*

# დემეტრაძეს საერთაშორისო ოპერაცია სჭირდება

**ესპანური** „სოსიედადის" ქართველ თავდამსხმელ გიორგი დემეტრაძეს დაახლოებით ერთი თვე კვლავ იძულებით დასვენება მოუწევს.

„სოსიედადი" შაბათს, პრიმერადივიზიონის მორიგ ტურში „ვალიადოლიდს" რომ მასპინძლობდა, ბასკთა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა ქართველი თავდამსხმელი მაშინ ათამაშა როცა ანგარიში 4:0 იყო. მიუხედავად ამისა, თამაშს დანატრებული გიორგი დემეტრაძე მეტოქე მცველებს მოსვენებას არ აძლევდა და მერე გატანილი ორი გოლიც სწორედ ჩვენებურის დამსახურებაა.

მატჩის დამთავრებას ბევრიც არაფერი აკლდა, როცა გიორგი დემეტრაძემ ფეხის საშინელი ტკივილი იგრძნო. ქართველი ფორვარდი ესპანელი ექიმების დიაგნოზს არ დაელოდა და მეორე დღესვე კიევს გაფრინდა, „დინამოდან" ნაცნობ ქირურგთან. აღმოჩნდა, რომ დემეტრაძეს მუხლი შეტრიალებია, მენისკის უკანა რქა დაზიანებია და კვლავაც საოპერაციოა.

გიორგი დემეტრაძე კიევიდან სანსებასტიანს დღეს უნდა გაფრინდეს და საახალწლოდ, ალბათ, თბილისში ჩამოსვლას ვერ მოახერხებს. ჯერჯერობით უცნობია როდის გაიკეთებს ოპერაციას, თუმც კი ნაღდია, დაახლოებით ერთი თვე ვერ ითამაშებს.

შევახსენებთ, დემეტრაძე კიევის „დინამოდან" „სოსიედადში" შარშან, სწორედ დეკემბერში გადავიდა და მას შემდეგ იშვიათად თამაშობს. ჯერ იყო და მუხლმა შეაწუხა და სასურველი ფორმის აღდგენა გაუჭირდა, მერე უცხო ვირუსი შეეყარა და თვენახევარი ამის გამო გაუცდა, ახლა კი მას მენისკი აქვს სამკურნალო.

**კობა ინასარიძე**



გიორგი დემეტრაძე (№15) მუხლმა შეაწუხა

# ჟორდანია ახსოვთ

**სპორტკომპლექს** „ქარიშხალას" დარბაზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა 1987-88 წლებში დაბადებულ ბავშვთა ტურნირი, რომელიც ანდრო ჟორდანიას ხსოვნას მიეძღვნა.

ფინალურ მატჩში 35-ე სკოლისა და თბილისის „დერბის" ბიჭუნები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. 4:1 დერბელებმა იმარჯვეს და გარდამავალ თასსაც დაეუფლნენ. მესამე ადგილისთვის მატჩში კი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „ბერმუხამ" 3:1 „ვაკე 91-ვიტ ჯორჯია" დაამარცხა.

საუკეთესო ფეხბურთელთათვის დაწესებული პრიზები ვაკელებმა ილო ბუაძემ და გიორგი აბესაძემ, დერბელებმა მურთაზ კაკაბაძემ, თეზი ბარამიძემ და დავით დევდარიანმა, 35-ე სკოლის მოთამაშემ გიორგი ფაჯაშვილმა და ბერმუხელმა გიორგი გულორდავამ დაიმსახურეს.

ტურნირში თბილისელთა გარდა ქუთაისელი და ზუგდიდელი ბავშვებიც მონაწილეობდნენ.

# ავჭალა რიონის პირას

## ძოძუაშვილმა მერანელი დევიძე გაატორპედოელა

თბილისის „მერანის“ კაპიტანი და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი იოსებ დევიძე ავჭალური კლუბის დატოვებას ეშურება. „მერანის“ მარჯვენა ფრთა გუნდის გამოცვლას ზაფხულშიც აპირებდა. თითქოს მთხოვნელებიც არ აკლდა, მაგრამ ვერც „ლოკომოტივმა“ და ვერც „ვიტ ჯორჯიამ“ „მერანთან“ საერთო ენა ვერ გამონახეს. მერე მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა და მაინც ავჭალას შერჩა.

დევიძემ „მერანთან“ ერთად მეცამეტე ეროვნულის საშემოდგომო ეტაპზე ითამაშა, ზეექსეულში მოსახვედრად ქულების სოლიდური მარაგიც დაუტოვა გუნდს და საკუთარ მომავალზეც დაფიქრდა.

ავჭალელებს მოთამაშეების კუთვნილი ხელფას-პრემიები ჯერაც არ გაუსტუმრებიათ. ფეხბურთელებს უკვე არც აქვთ იმედი, რომ კუთვნილს ახალ წლამდე მიიღებენ. ჰოდა, დევიძის გადაწყვეტილება, „მერანს“ დროზე გავეცალოო, რაღა გასაკვირია — აღარ სურს შეჭირვებულ გუნდში თამაში.

ჯერაც ავჭალელი „ტორპედოს“ შეკედლებია. ბენდელას თასზეც რევაზ ძოძუაშვილის გუნდში თამაშობს და 5 იანვარს ქუთაისელებთან ერთად მოსკოვს გაეშურება. დევიძეს ეროვნულ ჩემპიონატში კარიერის გაგრძელება დიდად არ ხიბლავს, უცხოეთში თამაშის ვარიანტიც მაქვსო, ამბობს, თუმც ის ან გაამართლებს და ან არა. „ტორპედო“ კი ნაღდია და, ალბათ, მერანელსაც გაზაფხულიდან რიონისპირულ კლუბში ვიხილავთ.

**დათო დანელია**



იოსებ დევიძე

# თბილისური არდადეგები

## მშვიდობით, „სიენა“! დროებით „ვიტ ჯორჯია“

19 **დეკემბერს** „ვიტ ჯორჯიას“ იტალიელი მენეჯერი ენცო გამბარო სერია B-ს „სიენას“ ხელმძღვანელებს შეხვდა და მათგან საბოლოო, უარყოფითი პასუხიც მიიღო — „სიენას“ ქართველები არ სჭირდება — ასეთ პასუხს ელოდნენ კიდეც „ვიტ ჯორჯიასა“ და საქართველოს ნაკრების ყოფილი მოთამაშეები ლევან მელქაძე და დავით დიღმელაშვილი.

დღეს ორივე მშობლიურ გარემოშია, მონატრებულებ ნაცნობ-მეგობართა მონახულებით გართულან და საკუთარ მომავალზე თავშეკავებით საუბრობენ.

„ფაქტია, „სიენაში“ დაბურნებას ჩვენთვის აზრი არ აქვს. იქ მხოლოდ სათადარიგოობისთვის გავიწირებით.

სამაგიეროდ, ჩვენი მენეჯერი ენცო გამბარო გვარწმუნებს, რომ სერია B-ში დასარჩენი ექვსი ვარიანტი აქვს ჩვენთვის შემონახული.

ახალ წელს თბილისში შევხვდებით. 2 იანვარს კი იტალიაში სატრანსფერო სეზონი იხსნება და გამბაროს ზარს ველით. თუ სახეირო ვარიანტი გამოჩნდა, ნაახალწლევს იტალიაში გავემგზავრებით, არადა...

„ვიტ ჯორჯია“ მზად არის, „სიენაში“ განათხოვრებული ლევან მელქაძე და დავით დიღმელაშვილი დაიბრუნოს. ფეხბურთელებიც, თუ სხვა საშველი არ იქნა, მზად არიან მაისის ბოლომდე ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშონ.

მელქაძე-დიღმელაშვილი იტალიური გამოცდილებით, ცხადია, გამოადგებიან ვიტელთა ახალ თავკაცს, გოჩა ტყებუჩავას, მაგრამ, ალბათ, ბოლო ხნის უთამაშებლობაც დაეტყობათ: მელქაძეს ხომ ერთადერთხელ, სათასო მატჩში მოუწია თამაში, დიღმელაშვილს კი ერთხელ თასზე და ორადორჯერ სერია B-ში.

**გამუკა კვანტალიანი**



ლევან მელქაძე



დავით დიღმელაშვილი

# გოგობერიშვილის მესამედ მისვლა



ალექსანდრე გოგობერიშვილს, ვიტელებს რომ ეთხოვება, „დინამოში“ ელიან

თბილისის „დინამომ“ კარგა ხნის წადილი აისრულა — ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი ალექსანდრე გოგობერიშვილი გადაიბირა.

24 წლის ფეხბურთელის თაობაზე „დინამო“ ჯერ „ვიტ ჯორჯიას“ მოელაპარაკა, რის შემდეგაც ჯერი გოგობერიშვილზე იყო. ვიტელი ცოტას კი ყოყმანობდა, მაგრამ ახლახან გადაწყვიტა, მესამედ გამხდარიყო დინამოელი. წყალი არ გაუვა, ეს ფეხბურთელი „დინამოს“ ერთობ გააძლიერებს. სავარაუდოდ, გივი ნოდია მას საყრდენად გაამწესებს და ამ პოზიციაზე სეხნია ამისულაშვილს შეუწყვილებს. თუმც გოგობერიშვილს ფლეიმეიკერობაც შეუძლია და ფლანგებზე თამაშიც.

— როცა „დინამოში“ ოთხი წლის წინათ „მერანიდან“ გადავედი, უზომოდ გახარებული ვიყავი — მაშინ 20 წლის გახლდით და ამ გუნდის წევრობა ძალიან მომხიბვლელი იყო. ცხადია, ახლაც გახარებული ვარ. ვეცდები, იმედები გავამართლო, ამისთვის ყველაფერს გავიღებ. მართალია, სხვა გუნდებში გადასვლის შესაძლებლობაც მქონდა, მაგრამ „დინამოდან“ უფრო რეალური წინადადება მივიღე და ნორმალური პირობებიც შემომთავაზეს. თანაც „დინამო“ ძალიან ამბიციური გუნდია, თუნდაც მისი სახელიდან გამომდინარე“ — გვითხრა ალეკო გოგობერიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელი ვიტელთა იტალიელი მენეჯერების, კარნევალი-გამბაროს ზარს ელოდა, მაგრამ მაინც „დინამო“ არჩია, სადაც პირველად 1993-94 წლებში ირიცხებოდა, მეორედ კი 1997-98 წლების სეზონში.

**დავით თავართქილაძე**

# კაციაც კაცითაა

## ბუიღლიშვილი უხერხულადაა, „გორდა“ უხელფასოდ

**გუშინ** „გორდას“ კრება უნდა გამართულიყო, მაგრამ გუნდი ვერ შეიკრიბა.

გაურკვევლობაშია რუსთავული კლუბი. უპირველესად ფინანსური პრობლემაა მოსაგვარებელი. ბოლო წელიწადნახევარში ფეხბურთელებს ხელფასი პირველად დაუგვიანათ.

— ათი დღით დავუგვიანეთ ხელფასები და უხერხულ მდგომარეობაში ვარ. თანხა გადმოსარიცხია და ანგარიშზე როგორც კი დაჯდება, დავალიანებას მაშინვე დავფარავ. ეს პრობლემა არ არის, მაგრამ ფინანსური თვალსაზრისით სამომავლოდ არცთუ სახარბიელო პერსპექტივა გვაქვს, მიუხედავად ამისა, ყველაფერს ვილონებ, რომ ბიჭებს მიცემული სიტყვა შევუსრულო — გვითხრა „გორდას“ ყოფილმა პრეზიდენტმა თემურ ბუიღლიშვილმა, რომელიც სიტყვას არ ღალატობს და არაოფიციალურად კვლავაც ინახავს გუნდს.

გუშინ დაგეგმილ კრებაზე რუსთაველებს სამომავლო გეგმებზე უნდა ელაპარაკათ, მაგრამ დამრჩენ-წამსვლელთა ვინაობა ჯერაც გასარკვევია.

გუნდის დატოვება რამდენიმე ფეხბურთელს სურს, მათ შორის ალექსანდრე ბურნაძეს, რომელსაც რუსეთში უნდოდა კარიერის გაგრძელება, მაგრამ ცოტა ხნის წინ მისით თბილისის „დინამო“ დაინტერესდა.

— ბურნაძეს ხელს არ შევუშლით, მას „დინამო“ ეპატიჟება და ასეთ დროს უფლებაც არ გვაქვს, დავაბრკოლოთ. გასარკვევია რამდენიმე მოთამაშის საკითხიც, რომელთაც „გორდას“ დატოვება სურთ. ჩვენთან თამაშის სურვილი გამოთქვა თბილისის „დინამოს“ მეკარე ზურაბ ბათიაშვილმა, გვსურს სხვათა დამატებაც, ამდენად ბევრი რამ გასარკვევია და ამიტომ გადავწყვიტეთ, ნაახალწლევს, 5 იანვარს შევიკრიბოთ. იმ დროისთვის ბევრი რამ გაირკვევა და გუნდის გეგმებზეც შეგვეძლება ლაპარაკი — გვითხრა გუშინვე „გორდას“ მთავარმა მწვრთნელმა თენგიზ კაციამ.

**ბაატა კვანტალიანი**



ალექსანდრე ბურნაძე „დინამოს“ მეგოლე ზაზა ზირაქიშვილს (№10) მეურვეობს

# კალამატა: ქართველები გოდორით

**ესენგეს** თასზე გაიჟღერა პირველად მისმა გვარ-სახელმა. „დინამოს“ მაშინდელმა თავკაცმა სერგო კუტივაძემ რუს ჟურნალისტებთან თქვა, 15 წლის ვუნდერკინდი დავით პეტრიაშვილი გვეზრდებაო. მაშინ 1995 წელი იყო.

დავით პეტრიაშვილმა მას აქეთ ითამაშა „დინამოში“, სამგურალში“, „სიონში“, „მორკინალში“, ირიცხებოდა „ბათუმსა“ და „ვიტ ჯორჯიაში“. ნიჭიერსა და იმედისმომცემ მოთამაშეს ბურთის დევნაზე მეტი დრო უქმად გაუტარებია. არა, ტრავმები იშვიათად აწუხებდა, უბრალოდ, პრობლემები მის ხასიათსა და უდარდელობაში იყო საძიებელი.

ალბათ, ზუსტად თავადაც ვერ გაიხსენებს, რამდენჯერ წავიდა და დაუბრუნდა ფეხბურთს. ვინ არ სცადა მისი მორჯულება, მაგრამ ყოველწლიურად ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ბოლოს სერიოზულად მოვარჯიშე ვაკის მძლეოსნობის მანეჟში ვნახეთ, სადაც ნათლია ქართლოს ჭუმბურიძემ ფიზმომზადების სპეციალისტ ავთანდილ ბერიძეს ჩააბარა. მაშინ დავაცდევინეთ, კარიერის უცხოეთში გაგრძელებას ვაპირებო.

დღეს 21 წლის დავით პეტრიაშვილი საბერძნეთს მიემგზავრება. მას მეორე ლიგის „კალამატა“ მოელის. გააფორმებს თუ არა კონტრაქტს ბერძნულ კლუბთან, ეს თავად ჩვენებურზეა დამოკიდებული, რომელიც უცხო ქვეყანაში კი მიდის, მაგრამ მთლად უცხო გარემოში როდი მოხვდება. „კალამატას“ ღირსებას თბილისელი გოლეიძი ნატროშვილი იცავს და კლუბშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

გოდორამ პეტრიაშვილისვე მსგავსად ექსდინამოელ მიხეილ ხუციშვილსაც უშუამდგომლა, რომელიც პეტრიაშვილთან ერთად დღეს მიემგზავრება საბერძნეთში ბედის საცდელად.

შეგახსენებთ, რომ დავით პეტრიაშვილი საშემოდგომო ეტაპზე რუსთაველი „გორდას“ ფეხბურთელი იყო, ოღონდ თენგიზ კაციას გუნდში სისტემატურად არ თამაშობდა.

**დათო დანელია**

# ცხადაძემ სალუქვაძეს გზა გაუკვალა

თბილისის „ლოკომოტივის“ ძირითად შემადგენლობაში მოულოდნელად გამოჩენილი, მაგრამ მალევე გაჩვეული ლაშა სალუქვაძე, შესაძლოა, ფრანკფურტის „აინტრახტმა“ შეიძინოს.

საშემოდგომო ეტაპის დამთავრებისთანავე რკინიგზელთა თავკაცი კახა ცხადაძე გერმანიას გაეშურა, სადაც ყოფილი კლუბი „აინტრახტიც“ მოინახულა.

კახა ცხადაძის რეკომენდაციით გერმანულმა კლუბმა ლაშა გასინჯვაზე მიიწვია. რკინიგზელთა ცენტრალური მცველი „აინტრახტს“ 5 იანვარს ეწვევა. იქ დააკვირდებიან და... თუ ივარგა მწვრთნელის ნაკვალევზე გაივლის, არადა, ჯერაც ახალგაზრდას „ლოკომოტივს“ დაუბრუნდება.

**გამუკა კვანტალიანი**

# ინგლისი

XVIII ტური

### დერბი ქაუნთი 3:1 ასტონ ვილა

1:0 რავანელი (44), 1:1 პაბლო ანხელი (45), 2:1 კარბონე (67), 3:1 კრისტი (87)
დერბი ქაუნთი: პოომი, გრენე (ბოლდერი 65), მავენი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, ბოურტიენი, დიუკრო, ზავანო, ქინქლაძე (დ. ბარტონი 75), კარბონე (კრისტი 70), რავანელი
მწვრთნელი: კოლინ ტოდი
ასტონ ვილა: შმაიხელი, ჯ. სამუელი (კაჩლული 45), მელბერგი, სტონტონი, ა. რაიტი, სტოუნი, ჯ. ბოატენგი (ბალაბანი 80), მერსონი, ბერი (ლ. ჰენდრი 45), პაბლო ანხელი, დაბლინი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ჰენდრი
მსაჯი: ელერეი
28 001 მაყურებელი

### ჩელსი 5:1 ბოლტონი

0:1 ნოლანი (3), 1:1 გუდიონსენი (41), 2:1 ჰასელბაინკი (45), 3:1 ზენდენი (56), 4:1 ჰენდრი (76ს.კ.), 5:1 ლამპარდი (87)
ჩელსი: კუდიჩინი, ლე სო (ფერერი 82), გალასი, ტერი, მელხიოტი, ლამპარდი, სტანიჩი, დალა ბონა, ზენდენი (პეტი 66), გუდიონსენი (ძოლა 80), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, უიტლოუ, კ. ჰენდრი, ვარჰურსტი (ჰანსენი 77), ჩარლტონი, ფრანდსენი (ფარელი 58), გარდნერი, კ. ჯონსონი (ჰოლდსუორთი 59), ნოლანი, რიკეტსი
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
გაფრთხილება: გუდიონსენი, ტერი, ჯონსონი, უიტლოუ
მსაჯი: რენიე
34 063 მაყურებელი

### ლივერპული 1:2 არსენალი

0:1 ანრი (45პ), 0:2 ლიუნგბერგი (53), 1:2 ლიტმანენი (55)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანშო, ჰიიპია, რიისე, მერფი, ჯერარდი, მაკალისტერი (ლიტმანენი 45), ბერგერი, ჰესკი (შმიცერი 46), ოუენი
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი
არსენალი: ს. ტეილორი, ლორენი, კიოუნი, ს. კემპბელი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, პარლოუ, ვან ბრონკჰორსტი, პირესი (აშსონი 85), ანრი (ვილტორდი 90), ნ. კანუ (ლუძნი 88)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ანშო, ლორენი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბრონკჰორსტი, ტეილორი, ლიუნგბერგი
გაძევება: ვან ბრონკჰორსტი (36)
მსაჯი: დარკინი
44 297 მაყურებელი

### ჩარლტონი 0:2 ბლეკბერნი

0:1 დაფი (57), 0:2 დანი (90)
ჩარლტონი: დ. კელი, ფორტუნი (ჯ. იოჰანსონი 66), ჟორჟე კოშტა, ფიში, იანგი, გ. სტიუარტი, იენსენი, პარკერი (ბარტ-უილიამსი 81), კ. პაუელი (კონჩესკი 82), ლისბი, იუელი
მწვრთნელი: ალან კურბიშლი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნაილი, ბერგი, შორტი, ბიორნებიუ, გილესპი, თუგაი (დანი 66), ფლიტკროფტი, მაჰონი, გრაბი (მ. ჰიუზი 65), დაფი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ფიში, პარკერი, ფლიტკროფტი, შორტი, ნაილი
მსაჯი: უილი
25 857 მაყურებელი

### ლიდსი 3:4 ნიუკასლი

0:1 ბელამი (39), 1:1 ბოიერი (40), 2:1 ვიდუკა (50), 3:1 ჰარტი (56), 3:2 ელიოტი (59), 3:3 შირერი (71პ), 3:4 სოლანო (90)
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, რ. ფერდინანდი, მილსი, ჰარტი, ბოიერი, ბეტი, ს. ჯონსონი, კიუელი (ბაკე 47), ვიდუკა, ფაულერი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, დაბიზასი (დისტინი 45), რ. ელიოტი, სოლანო, დაიერი, სპიდი, რობერი (ბერნარი 78), შირერი, ბელამი (ლუა-ლუა 90)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: ვიდუკა, კელი, ელიოტი
მსაჯი: უინტერი
40 287 მაყურებელი

### ლესტერი 1:1 ვესტ ჰემი

1:0 იზეტი (43), 1:1 დი კანიო (74პ)
ლესტერი: ი. უოქერი, მარშალი, ფ. სინკლერი, მ. ელიოტი, დ. სტიუარტი, იმპი (როჯერსი 74), სევიჯი, იზეტი, ს. ოუქსი (უაიზი 83), დინი (აკინბაი 81), სკოუკროფტი
მწვრთნელი: დეივ ბასეტი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, შეპლი, დეილი, რეპკა, უინტერბერნი, პათჩისონი, ჯ. კოული, კარიკი, ტ. სინკლერი, დი კანიო, დეფო (კიტსონი 88)
მწვრთნელი: გლენ როედერი
გაფრთხილება: ელიოტი, სევიჯი, ტ. სინკლერი, კოული, ელიოტი
გაძევება: ელიოტი (72)
მსაჯი: უოლსტენჰოლმი
20 131 მაყურებელი

### მანჩესტერი 6:1 საუთჰემპტონი

1:0, 2:0 ვან ნისტელროი (1, 34), 3:0 სოლსკიაერი (41), 4:0 ვან ნისტელროი (54), 4:1 პახარსი (55), 5:1 კინი (72), 6:1 ფ. ნევილი (78)
მანჩესტერი: ბარტეზი, ფ. ნევილი, გ. ნევილი, ბლანი, სილვესტრი, ვერონი (ბექემი 65), როი კინი (უოლვორკი 82), ბატი, სქოულზი, სოლსკიაერი (გიგზი 65), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, კ. უილიამსი, ლუნდეკვამი, ბრიჯი, ტელფერი, კ. დევისი (ორმეროდი 59), სვენსონი (დელაპი 81), მარსდენი, პახარსი, ბიტი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: სქოულზი, დევისი
მსაჯი: დანი
67 638 მაყურებელი

### სანდერლენდი 1:0 ევერტონი

1:0 რეინა (77)
სანდერლენდი: სორენსენი, ჰაასი, გრეი, გევინ მაკკენი, ტომე, დ. უილიამსი, კ. რეინა, მაკატირი, არკა, ნ. ქუინი (კილი 79), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ევერტონი: სიმონსენი, უოტსონი, შავიერი, ანსუორთი, ნეისმიტი, ჯემილი, გესქოინი, გრავესენი (ალექსანდერსონი 27), ტალი (ბლომკვისტი 74), ჯ. მური, რაძინსკი (ტ. ჩედვიკი 90)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: მაკატირი, გრავესენი, ნეისმიტი, გესქოინი, ბლომკვისტი
მსაჯი: ნაითი
48 013 მაყურებელი

### ტოტენჰემი 1:2 იფსვიჩი

1:0 დევისი (12), 1:1 ფინიდი (40), 1:2 არმსტრონგი (88)
ტოტენჰემი: სალივანი, პერი (გარდნერი 46), კინგი, რიჩარდსი, ტარიკო, ს. დევისი (პოიეტი 75), ფრიინდი, ანდერტონი, ციგე, შერინგემი, რებროვი (ლ. ფერდინანდი 67)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
იფსვიჩი: სერენი, მაკგრილი (ბრემბლი 83), მაკინი, ჰრეიდარსონი, ვენუსი, მეჯილტონი (ა. არმსტრონგი 71), ჰოლანდი, ჟ. რაიტი, როიზერი, ფინიდი, მ. ბენტი (ნეილორი 76)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: ანდერტონი, რაიტი, მაკგრილი
გაძევება: შერინგემი (54)
მსაჯი: რილი
36 040 მაყურებელი

**მიდლსბრო - ფულემი გადაიდო**

# საშობაო ბარათები ბიჭებს



REUTERS ლონდონიდან

**ლივერპული — არსენალი. ეგრე არ დარჩე, დუდეკ! ტიერი ანრიმ მასპინძლებს პირველი გოლი გაუტანა**

**ათი წლის წინათ**, შობას, „ნიუკასლ იუნაიტედმა“, რომელიღაც „სკანთორპთან“ თუ „დაგენემთან“ 0:2 წააგო და მეორე დივიზიონში მე-18 ადგილამდე ჩავარდა. იმის შემდეგ კი, აბა, რამდენმა წყალმა ჩაიარა. „ნიუკასლი“ 90-იანი წლების ინგლისის საყვარელ გუნდად იქცა და ეგებ, ქვეყნის ჩემპიონობაც ეკუთვნოდა, მაგრამ ამ საქმისთვის მეტისმეტად ლამაზად და რომანტიკულად ირჯებოდა. ჰოდა, სწორედ ბოლო კვირაა, რაც ამბობენ, ჯორდები სახალხო სიყვარულს იბრუნებენო. ისევე, როგორც კიგანის დროს, „ნიუკასლი“ ახლაც პრემიერლიგის ლიდერად ეგებება შობას და თუმცა, მენეჯერი ბობი რობსონი შორს იჭერს, ტიტულის მოგება ლამის შეუძლებლად მესახებაო, ტოტალიზატორებში უკვე ცვლიან კოეფიციენტებს.

„არსენალი“ „ჰაიბერიზე“ და „ლიდსი“ „ელანდ როუდზე“ — ორი ტრილერი, რომელიც შირერმა, ბელამიმ, სოლანომ და მათმა ამხანაგებმა გაითამაშეს წინა კვირაში, რობსონის სიტყვების საპირისპიროს ამტკიცებს — „ნიუკასლს“ ბევრი შეუძლია.

ლიდსში ორბურთიანი სხვაობის ამოქაჩვა და ბოლოს გამარჯვების გოლის გატანა, გართობა არ არის. თანაც მაშინ, როცა მთელი „ელანდ როუდი“ სადიდებელი სიმღერებით ეგებება მედიისა და საზოგადოების მიერ რასიზმსა და ხულიგნობაში მხილებულ ლი ბოიერს, ამ ყისმათა ძველ ბიჭს კი ულამაზესი გოლი გააქვს სტუმართა კარში.

„ნიუკასლი“ ლიდერია. ახლა ალექს ფერგიუსონის სიტყვები, საშობაო ციკლში ყველაფერი აირევა, ისინი, ვინც ჩვენზე წინ არიან, ერთმანეთის სისხლის სმას დაიწყებენო. „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი კომფორტულად იგებს ზედიზედ მესამედ, ხოლო „ლივერპული“ ზედიზედ მეორედ აგებს, ამჯერად შინ, „არსენალთან“. მსაჯ პოლ დარკინის, რბილად რომ ვთქვათ, ექსცენტრიკული წითელი ბარათი, სიმულაციისთვის რომ ერგო ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს, პირველ ტაიმშივე ათ მეთოფეს ტოვებს მოედანზე, მაგრამ მასპინძლებს ეს ვერ შველით.

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი მაიკლ ოუენი კი მეორე კვირაა, ელოდება მოწინაალმდეგის კარში თავისი მეასე ლივერპულური გოლის გატანას და ამჯერადაც სულ ტყუილად. ეშლი კოულმა წარმოუდგენელი მოქნილობით გამოიტანა კარის ხაზიდან მისი დარტყმული ბურთი.

საშობაო წითელი ბარათები მსაჯებმა სხვებსაც ჩამოურიგეს. „ტოტენჰემის“ საქმე უკუღმა სწორედ მას შემდეგ წავიდა, რაც ტედი შერინგემმა იფსვიჩელ მცველთან საჯარიმოში ძიძგილაობის გამო მსაჯისგან გაძევება დაიმსახურა. 18-წლიანი პროფესიული კარიერის მანძილზე შერინგემმა მეორედ მიიღო წითელი ბარათი. „იფსვიჩმა“ კი პირველად მოიგო აგვისტოს შემდეგ.

წითელი ერგო „ლესტერის“ კაპიტან მეტ ელიოტსაც. ბობოქარმა სქოთმა ჯერ ვესტჰემელი ჯო კოული წააქცია საჯარიმოში, მერე კი მასთან საქმის გასარჩევად მივარდნილ კოულის თანაგუნდელებს, ტრევორ სინკლერსა და პაოლო დი კანიოსაც არ დააკლო ხელი. „ლესტერს“ ორ ქულად დაუჯდა ეს პენალტი და კლუბმაც კაპიტნის დაჯარიმება გადაწყვიტა, რაც ახლა დიდ მოდაშია პრემიერლიგის კლუბებში. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ლიდსის“ უფროსობამ თითო თვის ხელფასი ჩამოაჭრა ბოიერსა და ჯონათან ვუდგეიტს.

თან საშობაო ქეიფების დრომაც მოაწია და... მაგალითად, ოთხი დღის წინ საკლუბო ქეიფში „ვესტ ჰემის“ ერთ-ერთი მოთამაშე ისე დათვრა, რომ ბარის დახლი საპირფარეშოდ მიიჩნია და იქავ მოახდინა სველი საქმე. კლუბმა არ გათქვა ამაყი ფეხბურთელი. თუმცა, გვარიანი თანხა კი აართვა.

და იმარჯვა „დერბი ქაუნთიმაც“. გმირები და მეგოლეები მას ამჯერადაც ისინი ჰყავდა, ჩვეულებრივ, იშვიათ გამარჯვებათა დროს რომ ჰყავს ხოლმე: რავანელი, კრისტი, კარბონე. ოღონდ ამ გამარჯვებაში წილი ქართველსაც ერგო — ხანგრძლივი შესვენების შემდეგ „დერბის“ სასტარტოში კვლავ გამოჩნდა გიორგი ქინქლაძე.

„ჩელსი“ კი ჩანს, დასაბმელია. მენეჯერ კლაუდიო რანიერის ნათქვამი, პირველ ტაიმში „ბოლტონი“ გვჯობდა, მეორეში კი ჩვენო, ხუმრობად ჩანს, რადგან „ჩელსიმ“ 5:1 მოუგო სტუმრებს.

ახლა კი პრემიერლიგაში არეული კვირეული იწყება. ამ საშობაო სიგიჟიდან კი ვინ როგორ გამოაღწევს, ძალიან ძნელი მისახვედრია.

**ირაკლი გამყრელიძე ლონდონიდან**




REUTERS ლონდონიდან

**ტოტენჰემი — იფსვიჩი. ტედი შერინგემმა მსაჯისგან საშობაო საჩუქარი უხალისოდ მიიღო**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ნიუკასლი | 18 | 11 | 3 | 4 | 34:23 | 11 | 36 | 8 | 5 | 1 | 2 | 12:9 | 3 | 16 | 10 | 6 | 2 | 2 | 22:14 | 8 | 20 |
| 2 არსენალი | 18 | 9 | 6 | 3 | 37:22 | 15 | 33 | 8 | 3 | 2 | 3 | 18:16 | 2 | 11 | 10 | 6 | 4 | 0 | 19:6 | 13 | 22 |
| 3 ლივერპული | 17 | 10 | 3 | 4 | 26:17 | 9 | 33 | 9 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 4 | 17 | 8 | 5 | 1 | 2 | 14:9 | 5 | 16 |
| 4 ლიდსი | 18 | 8 | 8 | 2 | 26:17 | 9 | 32 | 9 | 4 | 4 | 1 | 16:10 | 6 | 16 | 9 | 4 | 4 | 1 | 10:7 | 3 | 16 |
| 5 მანჩესტერი | 18 | 9 | 3 | 6 | 43:28 | 15 | 30 | 10 | 6 | 1 | 3 | 26:11 | 15 | 19 | 8 | 3 | 2 | 3 | 17:17 | 0 | 11 |
| 6 ჩელსი | 18 | 7 | 9 | 2 | 28:13 | 15 | 30 | 9 | 4 | 4 | 1 | 17:7 | 10 | 16 | 9 | 3 | 5 | 1 | 11:6 | 5 | 14 |
| 7 ტოტენჰემი | 18 | 8 | 3 | 7 | 30:25 | 5 | 27 | 10 | 5 | 2 | 3 | 21:15 | 6 | 17 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:10 | -1 | 10 |
| 8 ასტონ ვილა | 18 | 7 | 6 | 5 | 24:22 | 2 | 27 | 9 | 5 | 3 | 1 | 11:6 | 5 | 18 | 9 | 2 | 3 | 4 | 13:16 | -3 | 9 |
| 9 ევერტონი | 18 | 6 | 5 | 7 | 23:23 | 0 | 23 | 9 | 5 | 2 | 2 | 16:9 | 7 | 17 | 9 | 1 | 3 | 5 | 7:14 | -7 | 6 |
| 10 ფულემი | 17 | 5 | 8 | 4 | 17:17 | 0 | 23 | 9 | 4 | 4 | 1 | 12:7 | 5 | 16 | 8 | 1 | 4 | 3 | 5:10 | -5 | 7 |
| 11 სანდერლენდი | 18 | 6 | 5 | 7 | 14:17 | -3 | 23 | 10 | 5 | 3 | 2 | 11:8 | 3 | 18 | 8 | 1 | 2 | 5 | 3:9 | -6 | 5 |
| 12 ბლექბერნი | 18 | 5 | 7 | 6 | 25:21 | 4 | 22 | 9 | 3 | 4 | 2 | 15:9 | 6 | 13 | 9 | 2 | 3 | 4 | 10:12 | -2 | 9 |
| 13 ჩარლტონი | 18 | 5 | 7 | 6 | 21:22 | -1 | 22 | 10 | 2 | 4 | 4 | 12:15 | -3 | 10 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 12 |
| 14 ბოლტონი | 18 | 5 | 6 | 7 | 21:26 | -5 | 21 | 8 | 2 | 3 | 3 | 5:10 | -5 | 9 | 10 | 3 | 3 | 4 | 16:16 | 0 | 12 |
| 15 ვესტ ჰემი | 18 | 5 | 6 | 7 | 20:30 | -10 | 21 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:6 | 3 | 12 | 10 | 2 | 3 | 5 | 11:24 | -13 | 9 |
| 16 მიდლსბრო | 17 | 5 | 4 | 8 | 17:23 | -6 | 19 | 8 | 3 | 1 | 4 | 11:13 | -2 | 10 | 9 | 2 | 3 | 4 | 6:10 | -4 | 9 |
| 17 საუთჰემპტონი | 17 | 5 | 1 | 11 | 18:30 | -12 | 16 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 7 | 10 | 3 | 0 | 7 | 10:18 | -8 | 9 |
| 18 დერბი | 18 | 4 | 4 | 10 | 14:31 | -17 | 16 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:10 | 1 | 15 | 8 | 0 | 1 | 7 | 3:21 | -18 | 1 |
| 19 ლესტერი | 18 | 3 | 6 | 9 | 12:32 | -20 | 15 | 9 | 1 | 4 | 4 | 5:17 | -12 | 7 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:15 | -8 | 8 |
| 20 იფსვიჩი | 18 | 2 | 6 | 10 | 17:28 | -11 | 12 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:13 | -5 | 5 | 9 | 1 | 4 | 4 | 9:15 | -6 | 7 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 16 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 13 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 10 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 10 |
| ოუენი (ლივერპული) | 9 |
| პახარსი (საუთჰემპტონი) | 9 |

XIX ტური
26 დეკემბერი

| | |
|---|---|
| არსენალი | ჩელსი |
| ასტონ ვილა | ლივერპული |
| ბლექბერნი | სანდერლენდი |
| ბოლტონი | ლიდსი |
| ევერტონი | მანჩესტერი |
| ფულემი | ჩარლტონი |
| იფსვიჩი | ლესტერი |
| ნიუკასლი | მიდლსბრო |
| საუთჰემპტონი | ტოტენჰემი |
| ვესტ ჰემი | დერბი |

# პირველი დივიზიონი

XXV ტური

### ქოვენტრი 4:0 ბრედფორდი

1:0 ჰიუზი (41), 2:0 ტომპსონი (43), 3:0 ჰიუზი (49პ), 4:0 ჯოუჩიმი (81)

### ბარნსლი 4:1 ჯილინგემი

1:0 ლამსდონი (16), 2:0 ბარნარდი (21), 2:1 მორგანი (45ს.კ.), 3:1 დიერი (48), 4:1 გ. ჯოუნსი (78)

### ბირმინგემი 1:0 უოლსოლი

1:0 ჰარსი (14პ)

### ბარნლი 0:0 მილუოლი

### ნორვიჩი 2:1 უიმბლდონი

1:0 ნილსენი (17), 2:0 რობერტსი (59პ), 2:1 კონოლი (63პ)

### პორტსმუთი 2:0 სტოკპორტი

1:0 კრუში (71), 2:0 ლოველი (82)

### პრესტონი 0:0 გრიმსბი

### შეფილდ იუნაიტედი 2:2 როტერჰემი

1:0 სუფო (48), 2:0 დევლინი (61), 2:1 უოტსონი (66), 2:2 სვეილზი (78)

### უოტფორდი 1:1 ვულვერჰემპტონი

0:1 ნიუტონი (8), 1:1 სმიტი (26)

### ვესტ ბრომვიჩი 1:1 შეფილდ უენსდი

0:1 ეკოკუ (55), 1:1 ფოქსი (84)

### კრისტალ პალასი 1:1 ნოტინგემი

0:1 ჯონი (3), 1:1 მორისონი (37)

**ქრიუ — მანჩესტერ სიტი გადაიდო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 25 | 15 | 5 | 5 | 48:33 | 50 |
| ვულვზი | 25 | 13 | 7 | 5 | 37:20 | 46 |
| სიტი | 24 | 14 | 3 | 7 | 55:34 | 45 |
| ნორვიჩი | 25 | 14 | 3 | 8 | 35:33 | 45 |
| ვესტ ბრომვიჩი | 25 | 13 | 4 | 8 | 28:21 | 43 |
| ქოვენთრი | 25 | 12 | 4 | 9 | 32:24 | 40 |
| მილუოლი | 24 | 11 | 6 | 7 | 39:28 | 39 |
| ბირმინგემი | 25 | 11 | 6 | 8 | 40:32 | 39 |
| კრ. პალასი | 25 | 12 | 2 | 11 | 46:36 | 38 |
| პრესტონი | 25 | 9 | 10 | 6 | 39:31 | 37 |
| უოტფორდი | 24 | 10 | 6 | 8 | 37:27 | 36 |
| პორტსმუთი | 25 | 10 | 6 | 9 | 38:36 | 36 |
| ჯილინგემი | 25 | 9 | 6 | 10 | 37:37 | 33 |
| უიმბლდონი | 25 | 8 | 8 | 9 | 40:39 | 32 |
| შეფილდი | 25 | 7 | 11 | 7 | 28:30 | 32 |
| ბრედფორდი | 25 | 9 | 5 | 11 | 44:48 | 32 |
| ნოტინგემი | 25 | 7 | 10 | 8 | 27:25 | 31 |
| როტერჰემი | 25 | 7 | 8 | 10 | 32:39 | 29 |
| ქრიუ | 24 | 7 | 8 | 9 | 25:37 | 29 |
| ბარნსლი | 25 | 6 | 7 | 12 | 35:50 | 25 |
| უენსდი | 25 | 5 | 9 | 11 | 27:39 | 24 |
| უოლსოლი | 25 | 6 | 5 | 14 | 28:41 | 23 |
| გრიმსბი | 25 | 5 | 7 | 13 | 22:47 | 22 |
| სტოკპორტი | 25 | 2 | 6 | 17 | 24:56 | 12 |

# მეორე დივიზიონი

23-ე ტური: ბორნმუთი — ქუინზ პარკი 1:2; ბრენტფორდი — ნორთჰემპტონი 3:0; ბრაიტონი — ჩესტერფილდი 2:2; ბრისტოლი — რექსემი 1:0; ბერი — ბლეკპული 1:1; კოლჩესტერი — ჰადერსფილდი 3:3; ნოტსი — სუინდონი 3:1; ოლდემი — პორტ ვეილი 2:0; რედინგი — უიგანი 1:1; სტოკი — კარდიფი 1:1; უიკომბი — კემბრიჯი 2:0. პიტერბრო — ტრანმერი გადაიდო

# მესამე დივიზიონი

23-ე ტური: ჰალი — საუთენდი 0:0; ლეიტონი — ლინკოლნი 5:0; ლუტონი — ჰარტლპული 2:2; მენსფილდი — ექსეტერი 0:1; რაშდენი — კარლაილი 3:1; სკანთორპი — პლიმუთი 2:1; შრუსბერი — მაკლსფილდი 1:1; სუონსი — როჩდეილი 2:1; ტორკი — ოქსფორდი 3:3. დარლინგტონი — ჩელტნემი, ჰალიფაქსი — კიდერმინსტერი, როჩდეილი — იორკი გადაიდო

# ვინ არის ლიდერი?
## პასუხი მადრიდში დაითოვლა



REUTERS სურათი

სევილია — სელტა. დიეგო კატანიამ ვიგოელებს ერთი დარტყმით სამი ქულა მოუტანა

## ესპანეთი

XVIII ტური

**სოსიედადი 6:0 ვალიადოლიდი**

1:0 ხაბი ალონსო (34), 2:0 ხოხლოვი (50), 3:0 დე პაულა (57), 4:0 ტაიფუნი (59), 5:0 ლუის ალბერტო (84), 6:0 ტაიფუნი (86)
სოსიედადი: ვესტერველდი, კვარმე, არანსაბალი, ლუის ალბერტო, ხაბი ალონსო, ტაიფუნი, დე პედრო (ხაბილონდო 76), ხოხლოვი (არანბურუ 83), დე პაულა (დემეტრაძე 66), იდიაკესი
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია, მარკოსი, სანტამარია, ტორეს გომესი, ხესუსი, ფერნანდო სალესი (აროლდ ლოსანო 61), ფერნანდო, ოსკარი (ჩემა 72), ტოტე, ბლანკო (ლუის გარსია 82)
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: მარკოსი, პენია, ოსკარი, ჩემა, ლუის ალბერტო
მსაჯი: პერეს პერესი
19 000 მაყურებელი

**დეპორტივო 2:0 ბეტისი**

1:0 მაკაი (8), 2:0 სერხიო (72)
დეპორტივო: მოლინა, ნაიბეტი, კაპდევილა, დონატო, ექტორი, ფრანი, სერხიო, ვალერონი (ჯოროვიჩი 87), დუშერი, მაკაი (პანდიანი 83), ტრისტანი (ვიქტორი 67)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ფილიპესკუ, რივასი, კანიასი (კალადუ 60), კაპი (ამატო 80), იტო (გუდიონსონი 61), დენილსონი, ბენჯამინი, ვარელა, ჟოაუ ტომასი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: იტო, დენილსონი, ლუის ფერნანდესი, რივასი, ბენჯამინი, დუშერი
მსაჯი: კარმონა მენდესი
27 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 2:0 ბარსელონა**

1:0, 2:0 ტამუდო (57, 70)
ესპანიოლი: მორა, როტჩენი, სოლდევილა, ნავასი, დავიდ გარსია, ველამასანი (დე ლუკასი 83), მორალესი, პალენსია (მარტინ პოსე 67), ალექს ფერნანდესი, როხერი (ლობო 75), ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო ხავიერ ფლორესი
ბარსელონა: ბონანო, ფ. დე ბური (დანი 71), კრისტენვალი, კოკო (სერხი 67), პუიოლი, კოკუ, გაბრი, ჯოვანი, ოვერმარსი, კლუივერტი, საviola
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: პუიოლი, პალენსია, სავიოლა, ველამასანი, სოლდევილა, [illegible]

[illegible] წარმოიდგენდა. ვაკვირდებოდი და ვხედ[illegible] წამით არ გაჩერებულა, ეტყობა, რომ [illegible] ჩართვის სურვილი აქვს".
მაგრამ ამბროზინისთვის ასე სასიამო[illegible] უმცროსი ძმისთვის, პაოლოსთვის იყო [illegible] ფეხბურთელია. ამიტომაც ადგა კანავარ[illegible] რსაქციელით დაუსვა ყველაფერს წერტ[illegible]
საქართველოს ნაკრების წევრი კახა [illegible] ნზე თავიდან ბოლომდე ამყოფა და არ[illegible] გოლი სწორედ კალაძის პასით გაიტან[illegible]

**შემთხვევით**

წლის ბოლოა და, მოგეხსენება[illegible] სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულ[illegible] ლად ანდრეი შევჩენკოს მიერ მეთოთ[illegible] გატანილი აღიარეს, რომელიც ზოგმა შე[illegible] წავიდეთ, თავად ფეხბურთელმაც ასე თ[illegible]
ამ გოლს ბევრი ადარებს 1988 წლის [illegible] დასავის კარში მარკო ვან ბასტენის შე[illegible] ლი არ იყო? როგორც ჩანს, „მილანის" [illegible] წარმოუდგენელი პოზიციიდან გაუტანონ.

## ბელგია

[illegible]
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: სალვა, სანდრო, რომერო, აიალა, პედრო კონტრერასი, ალბელდა, დარიო სილვა
გაძევება: მუსამბა (71)
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
45 000 მაყურებელი

**სევილია 0:1 სელტა**

0:1 კატანია (58)
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პრიეტო (ტოლდელო 80), ნიეგუსი, ფრანსისკო (ფ. სალასი 67), კასკერო, ფრედი, გალიარდო (ლუის ხილი 46), მოიზესი, რეიესი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
სელტა: კავალიერო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი (დორივა 90), კოირა, კარპინი, ედუ (სილვინიო 74), ხესული (გუსტავო ლოპესი 59), ლუქსენი, ვაგნერი, კატანია
[illegible]მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
[illegible]გაფრთხილება: ფრედი, ხუანფრანი, ვაგნერი, კარპინი, კოირა, ნიეგუსი, გუსტავო ლოპესი, კავალიერო, სილვინიო, სილვინიო
[illegible]გაძევება: სილვინიო (90)
[illegible]მსაჯი: ანსუატეგი როჩა
[illegible]3 000 მაყურებელი

**სარაგოსა 3:2 ვილიარეალი**

[illegible] ზაინოუ (16), 2:0 ველისკა (27), 2:1 ვიქტორი (55), 2:2 ხორხე ლოპესი (69), 3:2 აკუნია (80პ)
[illegible]რაგოსა: ლაინესი, რებოსიო (პაბლო 80), აგუადო, პაკო ხემესი, ესკვერდინია, ველისკა (ხოსე იგნასიო 90), ზაინოუ, აკუნია, ხუანელე, იორდი, გალეტი (გარიტანო 80)
[illegible]მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო
[illegible]ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, გალეგო, კიკე ალვარესი, უნაი (ბალესტეროსი [illegible]6), კანია, ამორი (გალკა 67), ხორხე ლოპესი, [illegible]რაიოვიჩი (კიკე მარტინი 67), გიარე, ვიქტორი
[illegible]მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
[illegible]გაფრთხილება: უნაი, ლაინესი
[illegible]გაძევება: გალეგო (78)
[illegible]მსაჯი: ესკონას ტორესი
[illegible]00 მაყურებელი

**ოსასუნა 0:1 ბილბაო**

[illegible] ეჩებერია (71)
[illegible]სასუნა: უნსუე, კრუჩაგა, ხოსეჩო, პაბლო კონტრერასი, ისკიერდო, პალასიოსი, ფერნანდო (რივერო 77), განსედო, ლეკუმბერი (მუნიოსი 82), არმენტანო, ალოისი (ივან როსადო 76)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი, ოსკარ ვალესი, ლაკრუსი, ორბაისი, იესტე (კარლოს გარსია 59), ხავი გონსალესი, ალკისა, ტიკო (ესკერო 67), ხ. ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: ოსკარ ვალესი, განსედო, პაბლო კონტრერასი, ურსაისი, უნსუე, პაბლო კონტრერასი, ლაფუენტე
მსაჯი: რამირეს დომინგესი
18 870 მაყურებელი

**ტენერიფე 1:3 ლას პალმასი**

0:1 ტევენეტი (12), 1:1 ლუსენმოფი (50), 1:2 ხოსიკო (52), 1:3 ნაჩო გონსალესი (75პ)
ტენერიფე: სერხიო არაგონესესი, პაბლო პასი (დავიდ ჩარკოსი 37), ლუსენმოფი, ხავი ვენტა, ბასავილბასო, მანელი, მარტი, ივან ანია, მარიონი, უგო მორალესი (ბიჩი ფუერტესი 61), ხისკო (ხაიმე 46)
მწვრთნელი: ხოსე პეპე მელი
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ოლიასი, პაკუ, შურერი, ანხელი, ხოსიკო (ხაიო 79), სტივისი, ედუ ალონსო, ხორხე (კარმელო 66), პაბლო ლაგო, ტევენეტი (რუბენი 76)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: ივან ანია, მარიონი, ხავი ვენტა, ანხელი, მანელი, ლუსენმოფი, კარმელო
მსაჯი: მედინა კანტალეხო
23 000 მაყურებელი

**რაიო ვალიეკანო — ალავესი**

გადაიდო

**პრიმერადივიზიონის** წლევანდელი არდადეგები შარშანდელივით დაიწყო — ერთი გადადებული მატჩით. მაშინ მადრიდის „რეალი" ტოკიოში ბრძანდებოდა „ტოიოტოს" თასზე სათამაშოდ და მისი „სარაგოსასთან" შეხვედრის გადადების მიზეზი ეს გახლდათ. ამ უქმეებზე „რაიო ვალეკანო" — „ალავესის" დაპირისპირება კი უამინდობამ ჩაშალა. არბიტრი პერეს ბურულია მინდორზე გავიდა, კოჭებამდე თოვლში ჩაეფლო და გასახდელში დაბრუნდა.

ისე, ჯობდა, სხვა მატჩი ჩაშლილიყო, „ალავესს" კი ეთამაშა. აბა, რა გამოდის, არდადეგები დაიწყო, საშემოდგომო ჩემპიონის ვინაობა კი უცნობია. ცხრილს ჩავხედოთ: ვიტორიელები ლიდერ „დეპორტივოს" სამი ქულით ჩამორჩებიან და დათოვლილ მატჩში რომ მოეგოთ (ორი ან მეტი ბურთის სხვაობით), პირველ საფეხურზე გადავიდოდნენ. ასე კი ლიდერი „დეპორტივოა", თან „ალავესიცაა".

აი, „რეალს" პალმა დე მალიორკაში რომ ემარჯვა, ყველაფერი ნათელი იქნებოდა, მაგრამ რაულის გოლი მასპინძელმა ალბერტო ლუკემ გაქვითა, დედაქალაქელები ოდენ ქულას დააჯერა, დებიუტანტ მეკარე კარლოს სანჩესს კი გული დასწყვიტა.

„მოგებათა სერია შევწყვიტეთ, მაგრამ ჩავარდნაზე ლაპარაკი უადგილოა — თავი იმართლა ვისენტე დელ ბოსკემ — ჩვენ ყოველ სამ-ოთხ დღეში ერთხელ გვიწევს თამაში და ამგვარი გადატვირთული კალენდრის პირობებში ყოველი მატჩის მოგება უბრალოდ შეუძლებელია. ისე კი, ცხადია, გვსურდა, არდადეგებს ლიდერად შევხვედროდით".

ლიდერი კი, როგორც მოგახსენეთ და ცხრილშიც ნახავდით, „დეპორტივოა". ლაკორუნიელებმა ორი უპასუხო ბურთი გაუტანეს „ბეტისს".

„შედეგით უაღრესად კმაყოფილი ვარ — აღნიშნა ხავიერ ირურეტამ — მოგება თავისთავად ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ ამ შემთხვევაში ორი მომენტიც გასათვალისწინებელია: ერთი, რომ უძლიერესი შემადგენლობა არ გვყავდა, მეორეც — „ბეტისი" ძალიან ძლიერი გუნდია. სევილიელთა მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა კი თქვა: „ჩვენ ისევე კარგად ვითამაშეთ, როგორც სეზონის წინა მატჩებში, მაგრამ მეტოქე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა".

„ბარსელონამ" ბარსელონური დერბი წააგო „ესპანიოლთან". ამის თაობაზე „ბარსას" პრეზიდენტმა ხუან გასპარმა ფილოსოფიურად შენიშნა, ცხოვრება ამით არ მთავრდებაო: „გულშემატკივრებს ვთხოვ, კლუბისადმი რწმენა არ დაკარგონ. ჩემპიონატის დასრულებამდე საკმაო დროა და [illegible] შანსი არ დაგვიკარგავს. [illegible] ვიწყებთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში კარგად ვთამაშობთ".

კარლოს რექსაჩმა კი სინანულით აღნიშნა: „არც ერთ მატჩში არ გვქონია მოგების ასეთი შანსი. ჩვენს ფეხბურთელებს საგოლე მომენტების ნახევარიც რომ გამოეყენებინათ, სამი ქულით მეტი გვექნებოდა". შევნიშნოთ, რომ ესპანიოლელთა პირველი გოლი მეკარე რობერტო ბონანოს უხეშ შეცდომას მოჰყვა, მეორე გოლისას კი დაცვამ ვერ ივარგა — კუთხურის გათამაშებისას რაულ ტამუდოს ამოკეტვა დაავიწყდათ.

წინა ტურის მიმოხილვაში, „რეალი" — „სოსიედადის" მატჩის შემდეგ ვწერდით, სანსებასტიანელებმა შემდგომშიც თუ ასე ითამაშეს, დივიზიონიდან არ გავარდებიანო. აგერ, ბასკებმა „ვალიადოლიდი" დაამარცხეს, უფრო სწორად კი, გაანადგურეს. ჩვენთვის სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ამ ექვსი გოლიდან გიორგი დემეტრაძის ერთიც არ არის. კარგა ხნის უთამაშებელი ქართველი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე.

ვალენსიაში თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ — მალაგელთა ურუგვაელმა დარიო სილვამ იხეირა. მერე მასპინძლები გააქტიურდნენ და პირველი ტაიმისავე ოთხწუთიან მონაკვეთში ორი გოლით უპასუხეს.

მასპინძელთა პირველი გოლი კურიოზული გამოდგა: 25-ე წუთზე ვისენტემ გოლი გაიტანა და... თავად გაკვირვებული დარჩა, რაკი, სინამდვილეში დარტყმა არ უფიქრია, უბრალოდ, კარის გასწვრივ ჩააწოდა...

სანტა კრუზ დე ტენერიფეში მეათე ენერგობლოკის საქვაბე არ აფეთქებულა, თუმცა მატჩი უშუქობის გამო, თხუთმეტი წუთის დაგვიანებით დაიწყო. თან უბრალო მატჩი არ გახლდათ — დერბი იყო. მასპინძელთათვის ჯობდა, თამაში სულაც არ დაწყებულიყო, რაც ანგარიშიდან ჩანს. აღვნიშნოთ, რომ ლასპალმასელთაგან მესამე გოლი მეკარე ნაჩო გონსალესმა გაიტანა პენალტით.

„ბილბაოსა" და „სელტას" კი სტუმრად სამ-სამი ქულის მოსაპოვებლად თითო გოლი ეყოთ. ვიგოელებს სევილიაში დიეგო კატანიამ მოაგებინა, რომელმაც თავისივე შეცდომა გამოასწორა — პენალტი უხეიროდ დაარტყა, მაგრამ დამატებაზე ივარგა. პამპლონაში კი „ოსასუნა" ხოსება ეჩებერიას გოლმა დაამწუხრა.

**გიორგი დარჯანია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დეპორტივო | 18 | 10 | 3 | 5 | 32:22 | 10 | 33 | 9 | 7 | 1 | 1 | 21:7 | 14 | 22 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:15 | -4 | 11 |
| 2 რეალი | 18 | 9 | 5 | 4 | 33:21 | 12 | 32 | 9 | 6 | 3 | 0 | 20:8 | 12 | 21 | 9 | 3 | 2 | 4 | 13:13 | 0 | 11 |
| 3 სელტა | 18 | 8 | 7 | 3 | 34:20 | 14 | 31 | 9 | 6 | 2 | 1 | 21:8 | 13 | 20 | 9 | 2 | 5 | 2 | 13:12 | 1 | 11 |
| 4 ბეტისი | 18 | 9 | 4 | 5 | 19:15 | 4 | 31 | 9 | 7 | 1 | 1 | 12:3 | 9 | 22 | 9 | 2 | 3 | 4 | 7:12 | -5 | 9 |
| 5 ბილბაო | 18 | 8 | 7 | 3 | 26:23 | 3 | 31 | 9 | 2 | 5 | 2 | 9:11 | -2 | 11 | 9 | 6 | 2 | 1 | 17:12 | 5 | 20 |
| 6 ალავესი | 17 | 9 | 3 | 5 | 19:10 | 9 | 30 | 9 | 6 | 1 | 2 | 11:5 | 6 | 19 | 8 | 3 | 2 | 3 | 8:5 | 3 | 11 |
| 7 ვალენსია | 18 | 7 | 9 | 2 | 20:15 | 5 | 30 | 9 | 6 | 3 | 0 | 10:3 | 7 | 21 | 9 | 1 | 6 | 2 | 10:12 | -2 | 9 |
| 8 ბარსელონა | 18 | 7 | 6 | 5 | 25:17 | 8 | 27 | 8 | 4 | 3 | 1 | 18:7 | 11 | 15 | 10 | 3 | 3 | 4 | 7:10 | -3 | 12 |
| 9 სევილია | 18 | 6 | 6 | 6 | 27:22 | 5 | 24 | 9 | 3 | 4 | 2 | 15:10 | 5 | 13 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:12 | 0 | 11 |
| 10 ესპანიოლი | 18 | 7 | 3 | 8 | 24:29 | -5 | 24 | 10 | 6 | 1 | 3 | 18:12 | 6 | 19 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:17 | -11 | 5 |
| 11 ლას პალმასი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:16 | 3 | 23 | 9 | 4 | 4 | 1 | 13:7 | 6 | 16 | 9 | 2 | 1 | 6 | 6:9 | -3 | 7 |
| 12 სარაგოსა | 18 | 7 | 2 | 9 | 18:25 | -7 | 23 | 9 | 4 | 1 | 4 | 12:14 | -2 | 13 | 9 | 3 | 1 | 5 | 6:11 | -5 | 10 |
| 13 ვილიარეალი | 18 | 6 | 4 | 8 | 19:20 | -1 | 22 | 9 | 4 | 2 | 3 | 12:8 | 4 | 14 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:12 | -5 | 8 |
| 14 ვალიადოლიდი | 18 | 6 | 4 | 8 | 18:32 | -14 | 22 | 9 | 4 | 2 | 3 | 9:8 | 1 | 14 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:24 | -15 | 8 |
| 15 მალაგა | 18 | 5 | 6 | 7 | 20:24 | -4 | 21 | 9 | 3 | 3 | 3 | 13:14 | -1 | 12 | 9 | 2 | 3 | 4 | 7:10 | -3 | 9 |
| 16 მალიორკა | 18 | 5 | 5 | 8 | 18:24 | -6 | 20 | 9 | 3 | 3 | 3 | 11:8 | 3 | 12 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:16 | -9 | 8 |
| 17 ოსასუნა | 18 | 5 | 4 | 9 | 15:24 | -9 | 19 | 9 | 3 | 2 | 4 | 7:8 | -1 | 11 | 9 | 2 | 2 | 5 | 8:16 | -8 | 8 |
| 18 სოსიედადი | 18 | 5 | 3 | 10 | 23:27 | -4 | 18 | 9 | 3 | 3 | 3 | 15:11 | 4 | 12 | 9 | 2 | 0 | 7 | 8:16 | -8 | 6 |
| 19 ტენერიფე | 18 | 5 | 3 | 10 | 12:21 | -9 | 18 | 9 | 4 | 1 | 4 | 10:9 | 1 | 13 | 9 | 1 | 2 | 6 | 2:12 | -10 | 5 |
| 20 რაიო | 17 | 3 | 3 | 11 | 16:30 | -14 | 12 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:10 | -1 | 10 | 9 | 0 | 2 | 7 | 7:20 | -13 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ურსაისი (ბილბაო) | 10 |
| კატანია (სელტა) | 9 |
| რაული (რეალი) | 9 |
| ტრისტანი (დეპორტივო) | 8 |
| ტამუდო (ესპანიოლი) | 8 |
| სავიოლა (ბარსელონა) | 7 |
| მოიზესი (სევილია) | 7 |

**XIX ტური**

2002 წლის 6 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| ბარსელონა | - | სარაგოსა |
| ვილიარეალი | - | სევილია |
| სელტა | - | რაიო ვალეკანო |
| ალავესი | - | ოსასუნა |
| ბილბაო | - | ტენერიფე |
| ლას პალმასი | - | სოსიედადი |
| ვალიადოლიდი | - | მალიორკა |
| რეალი | - | დეპორტივო |
| ბეტისი | - | ვალენსია |
| მალაგა | - | ესპანიოლი |

## მეორე დივიზიონი

XX ტური

**ელჩე 1:3 ხაენი**

0:1 ბარახასი (18), 1:1 რამონი (29), 1:2 ზაინოსი (46), 1:3 ნავარო (49)

**ალბასეტე 2:1 ფეროლი**

1:0 დანი რუისი (25), 1:1 ემერი (39), 2:1 ტორილი (44)

**მურსია 1:2 ბურგოსი**

0:1 დანი პენდინი (22), 0:2 ინაკი (35), 1:2 პეტერნაკი (62)

**ნუმანსია 1:0 ლეგანესი**

1:0 კულებრასი (90)

**ატლეტიკო 2:0 რასინგი**

1:0 ტორესი (73), 2:0 ლუკე (90)

**პოლი ეხიდო 0:0 ესტრემადურა**

**ხერესი 0:0 უელვა**

**ბადახოსი 2:2 ლევანტე**

0:1 სეტვალსი (11), 0:2 კაიკუ (73), 1:2 ტულიპა (80), 2:2 ბრაკამონტე (90)

**კორდობა 0:2 ეიბარი**

0:1 კაბრეხო (37პ), 0:2 გარიტანო (81)

**სპორტინგი 1:1 სალამანკა**

1:0 ბორეგერო (39), 1:1 რობერტი (45)

**ხიმნასტიკი 1:0 ოვიედო**

1:0 კუელიარი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 20 | 13 | 4 | 3 | 32:14 | 43 |
| ხერესი | 20 | 12 | 3 | 5 | 24:16 | 39 |
| ბურგოსი | 20 | 9 | 5 | 6 | 21:16 | 32 |
| უელვა | 20 | 8 | 8 | 4 | 20:16 | 32 |
| რასინგი | 20 | 8 | 7 | 5 | 23:18 | 31 |
| ალბასეტე | 20 | 8 | 6 | 6 | 20:12 | 30 |
| ოვიედო | 20 | 7 | 9 | 4 | 19:12 | 30 |
| ეიბარი | 20 | 7 | 7 | 6 | 21:12 | 28 |
| ბადახოსი | 20 | 8 | 4 | 8 | 18:19 | 28 |
| ფეროლი | 20 | 8 | 3 | 9 | 27:26 | 27 |
| სალამანკა | 20 | 6 | 9 | 5 | 27:27 | 27 |
| ელჩე | 20 | 6 | 8 | 6 | 16:21 | 26 |
| სპორტინგი | 20 | 6 | 7 | 7 | 27:27 | 25 |
| ნუმანსია | 20 | 6 | 7 | 7 | 21:27 | 25 |
| ხაენი | 20 | 7 | 4 | 9 | 20:27 | 25 |
| კორდობა | 20 | 6 | 5 | 9 | 21:25 | 23 |
| ლეგანესი | 20 | 5 | 8 | 7 | 12:18 | 23 |
| ესტრემადურა | 20 | 5 | 7 | 8 | 15:19 | 22 |
| მურსია | 20 | 5 | 7 | 8 | 18:23 | 22 |
| ლევანტე | 20 | 4 | 8 | 8 | 20:30 | 20 |
| ხიმნასტიკი | 20 | 4 | 6 | 10 | 18:24 | 18 |
| ეხიდო | 20 | 2 | 8 | 10 | 16:27 | 14 |

## იტალია

XVI ტური

### მილანი 2:1 ვერონა

1:0 ამბროზინი (58), 1:1 კანავარო (70), 2:1 კონტრა (90)
მილანი: აბიატი, ჰელვეგი, კოსტაკურტა, შამოტი, კალაძე, გატუზო, დონატი (ამბროზინი 46), პირლო (ხავი მორენო 74), რუი კოშტა, შევჩენკო, ხოსე მარი (კონტრა 79)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ვერონა: ფერონი, ბ. კანავარო, გონელა, ტეოდორანი, ოდო, იტალიანო (ჯ. კოლუჩი 84), ლ. კოლუჩი, სერიჩი, კამორანეზი (მონტანო 66), ჯილარდინო (ადაილტონი 66), მუტუ
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: იტალიანო, ხოსე მარი, სერიჩი, კანავარო
მსაჯი: რაკალბუტო
40 000 მაყურებელი

### კიევო 0:3 რომა

0:1 ემერსონი (27), 0:2 სამუელი (76), 0:3 ტომაზი (90)
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, დანა, დანჯელო, ს. ლანა, ერიბერტო, პეროტა (მაიელე 70), კორინი, მანფრედინი, კორადი (კოსატო 80), მარაცინა
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
რომა: ანტონიოლი, ძებინა, ვ. სამუელი, პანუჩი, კაფუ, ტომაზი, ემერსონი, ლიმა, კანდელა, ტოტი, დელვეკიო (პელიცოლი 53)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: კაფუ, ძებინა, კორინი, დელვეკიო
გაძევება: ანტონიოლი (53), ერიბერტო (79)
მსაჯი: ჩეზარი
16 757 მაყურებელი

### პიაჩენცა 2:3 ინტერი

0:1 ვიერი (45პ), 1:1 გაუტიერი (55), 1:2 კალონი (69), 2:2 გაუტიერი (74), 2:3 ვიერი (83)
პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე, ლამაკი (მალტალიატი 80), ა. ლუკარელი, ტოსტო, გაუტიერი, სტატუტო, მატუზალემი, დი ფრანჩესკო, პოჯი (ორლანდონი 45), უბნერი (კრისტანტე 59)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, სორონდო, კორდობა, გრეშკო (ვივასი 34), ს. კონსეისაუ (კალონი 64), დი ბიაჯო, კ. ძანეტი, გულიელმინპიეტრო, ვიერი, რონალდო (ემრე 66)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: სტატუტო, ვივასი, კრისტანტე, გულიელმინპიეტრო, დი ფრანჩესკო
გაძევება: გუარდალბენი (45), კორდობა (45), ლუკარელი (45)
მსაჯი: ბრასკი
18 000 მაყურებელი

### ბრეშა 0:4 იუვენტუსი

0:1 ტრეზეგე (29), 0:2 დელ პიერო (42), 0:3 ფერარა (55), 0:4 დავიდსი (69)
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი (დაინელი 77), კალორი, ბონერა, მ. ესპოზიტო (შოპი 75), ა. ფილიპინი, ილანა, სუსი, ჯუნტი (ე. ფილიპინი 69), ტონი, ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, იულიანო (კ. ძენონი 77), პესოტო, ა. კონტე, ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (ზალაიეტა 85)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ჯუნტი, კონტე, ტაკინარდი, პეტრუცი
მსაჯი: დე სანტისი
26 000 მაყურებელი

### ლაციო 2:2 ბოლონია

1:0, 2:0 კლაუდიო ლოპესი (19, 34), 2:1 კრუზი (41), 2:2 ძაკარდო (75)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, ფ. კოუტუ, პანკარო, პობორსკი (მენდიეტა 55), ლივერანი, ჯანიკედა, დ. სტანკოვიჩი, კრესპო, კლაუდიო ლოპესი (ფიორე 72)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ბოლონია: პალიუკა, გამბერინი, ფალკონე, მ. კასტელინი, ოლივე, ტარანტინო (დელა როჩა 62), პეკია, ძაკარდო (ვომე 87), ნერვო, ძაული, ხ. კრუზი (ბელუჩი 90)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ნესტა, სტანკოვიჩი, ნეგრო, ნერვო, ლივერანი, ძაული, სტანკოვიჩი, კასტელინი
გაძევება: სტანკოვიჩი (67)
მსაჯი: პაპარესტა
35 000 მაყურებელი

### პარმა 2:0 ფიორენტინა

1:0 ბონაცოლი (71), 2:0 დი ვაიო (82)
პარმა: ფრეი, სარტორი (დიანა 46), სენსინი, ფერარი, ჟუნიორი, ბოგოსიანი, ბოლანო, ლამუში, მიკუ (მანგონე 87), მილოშევიჩი (ბონაცოლი 67), დი ვაიო
მწვრთნელი: გედეონე კარმინიანი
ფიორენტინა: მანინგერი, ჩეკარელი, ადანი (ტორიჩელი 72), მორეტი, დი ლივიო, კოისი (განცი 82), ამარალი, ვანოლი (მიატოვიჩი 75), მ. როსი, მორფეო, ნუნუ გომეში
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: მორფეო, როსი, მორფეო
გაძევება: მორფეო (72)
მსაჯი: ტრენტალანჯე
17 000 მაყურებელი

### პერუჯა 2:0 ატალანტა

1:0, 2:0 ბაცანი (51, 90)
პერუჯა: ტარდიოლი, სოლიანო, დი ლორეტო, რეზაეი, ზე მარია, ტედესკო, ბლაზი, ბაიოკო, მილანეზე, ბაცანი, ვრიზასი (კორდოვა 67)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ატალანტა: ტაიბი, პაგანინი (ორლანდინი 70), ნატალი, სალა, დ. ძენონი, ძაური, დაბო (რინალდი 30), ბერეტა, პინარდი, საუდატი, კოლომბო (კომანდინი 67)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: საუდატი, მილანეზე
მსაჯი: ტომბოლინი
15 000 მაყურებელი

### ტორინო 1:2 ვენეცია

0:1 მანიერო (15), 1:1 კომოტო (64), 1:2 მანიერო (90). ფერანტემ ვერ გაიტანა პენალტი (37, მეკარე)
ტორინო: ბუჩი, გალანტე, ფატორი, დელი კარი, კომოტო (კოე 88), მეცანო (მ. კასტელინი 58), ვერგასოლა, დე აშენტისი (სკარკილი 54), მასპერო, ფერანტე, კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
ვენეცია: ჯ. როსი, პავანი, ბილიკა, ბიორკლუნდი, ბეტარინი, ბრესანი, დ. ანდერსონი, მარასკო (პაბლო გარსია 60), დე ფრანჩესკი (ვალტოლინა 90), მანიერო, მაგალიანესი
მწვრთნელი: ალფრედო მანი
გაფრთხილება: ფერანტე, დე ფრანჩესკი, ბრესანი, პავანი
მსაჯი: კასარა
15 000 მაყურებელი

### უდინეზე 0:1 ლეჩე

0:1 ჯაკომაცი (1)
უდინეზე: ტურჩი, გარგო, სოტილი, კაბალიერო, ნომვეტე (მარტინესი 66), ლ. ელგერა (ბედინი 66), დ. პიზარო, პინცი, პიერი (იაკინტა 70), მუცი, დი მიკელე
მწვრთნელი: ჯამპიერო ვენტურა
ლეჩე: კიმენტი, სილვესტრი (სავინო 72), პოპესკუ, ჟუარესი, ციმეროტიჩი (კოლონელო 90), კონტიკიო, პიანჯერელი, ჯაკომაცი, ტონეტო, ჩევანტონი, ბალერი (ჩირილო 46)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: პინცი, კონტიკიო, ჩევანტონი, პიანჯერელი
მსაჯი: გაბრიელე
14 000 მაყურებელი

# რამდენიმე საახალწლო ამბავი



REUTERS

პიაჩენცა — ინტერი. ესეც პენალტი: მატეო გუარდალბენმა რონალდო წააქცია

**გასკდა გული!** რონალდო რომ მოედანზე გადის, პლანეტის მოსახლეობას სულ იმის შიში აქვს, ემანდ ბიჭმა კიდევ რამე არ იტკინოსო. იტკინა, ისევ იტკინა, ოღონდ, კიდევ კარგი, ამბობენ, სერიოზული არაფერიაო.

„უბრალოდ „ლეჩესთან" დაჭიმულმა კუნთმა შეახსენა თავი. ახლა რონალდო ბრაზილიაში წავა და იქაურ ექიმს შეამოწმებინებს თავს. სერიოზული მართლაც არაფერია" — განაცხადა „ინტერის" საკლუბო დასტაქარმა ანდრეა კომბიმ.

და ახლა, როდესაც უმნიშვნელოვანეს საკითხზე, ჯანმრთელობაზე უკვე ვილაპარაკეთ, შეგვიძლია სხვა ამბებიც ვახსენოთ.

ამბავი პირველი და, ალბათ, ყველაზე მთავარი: სერია A-ს საახალწლო ცხრილს სათავეში „ინტერი" ჩაუდგა. სამისოდ „შავ-ლურჯებმა" „პიაჩენცას" მოუგეს 3:2 და ამ სამი გოლიდან ორი კრისტიან ვიერიმ გაიტანა. ვიერის მეორე გოლი გადამწყვეტი გამოდგა. საქმე ის გახლავთ, რომ პიაჩენცელი კარმინე გაუტიერი, დიდად მოუსვენარი კაცი, მილანელთა ყოველ გოლს გოლითვე პასუხობდა...

ანგარიში პირველი ტაიმის წამატებულ წუთებში გაიხსნა. კრისტიანო ძანეტიმ რონალდოს გადააწოდა ბურთი, ბრაზილიელი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, სადაც მეკარე მატეო გუარდალბენმა წააქცია, რისთვისაც ერთი, რომ თერთმეტმეტრიანი დარტყმა დაინიშნა და მეორეც, გოლკიპერი მოედნიდან გააძევეს. პენალტი ვიერიმ შეაგდო.

საინტერესო ამბები შესვენების დროსაც მოხდა. კერძოდ, „ინტერის" კოლუმბიელმა მცველმა ივან კორდობამ და პიაჩენცელმა ალესანდრო ლუკარელიმ, ჩვენთვის და დანარჩენი მსოფლიოს მასმედიისთვის უცნობი რამ ჩაიდინეს, რისთვისაც მეორე ტაიმში გვირაბიდან მოედანზე დაბრუნების უფლება ჩამოერთვათ.

მოედანზე დაბრუნებულთაგან თავი გაუტიერიმ გამოიჩინა, თუმცა, შემდეგ რონალდომ კონსეისაუს ნაცვლად შესულ სიერალეონელ მოჰამედ კალონს სეზონში თავისი მეცხრე გოლი გაატანინა. ამას, ისევ მოუსვენარი გაუტიერის წარმატება მოჰყვა, რასაც საბოლოოდ ვიერიმ მოუღო ბოლო.

პრესკონფერენციაზე „ინტერის" თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა თქვა: „კონკურენტები ძლიერები არიან, მაგრამ მე ჩემი გუნდისა მწამს და ვიმედოვნებ, რომ ასეთი შედეგებით განვაგრძობთ სვლას".

ამბავი მეორე და, ვინ იცის, ბევრისთვის გულდასაწყვეტიც: „კიევომ" „რომასთან" 0:3 წააგო. ახლა, რა გვინდა, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგაო და ეგეთები...

რომაელები პირველ ტაიმში ბრაზილიელი ემერსონის თავურმა დააწინაურა. მეორე ტაიმის დასაწყისში მათ მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლი გაუძევეს — მასიმო მარაცინას უეჭველი გოლი გაჰქონდა, მან კი წააქცია — რის გამოც, ცხადია, უმცირესობაში დარჩენ, მაგრამ ვერონელებმა ამით ვერ ისარგებლეს.

მეორე გოლი არგენტინელმა ვალტერ სამუელმა შეაგდო — მთავარი თავურით. შემდეგ გუნდებში მოთამაშეთა რაოდენობა გათანაბრდა, რადგან „კიევოს" ბრაზილიელი გარემარბი ერიბერტო მსაჯმა დაუნდობლად მოიშორა მოედნიდან, რასაც წამატებულ წუთებში დამიანო ტომაზის მესამე გოლი მოჰყვა.

„ჩვენ სრულყოფილად ვითამაშეთ — თქვა შემდეგ „რომას" თავკაცმა ფაბიო კაპელომ — „კიევო" უნდა დაგვემარცხებინა და დავამარცხეთ".

ამბავი მესამე და ვისთვის როგორი კი ასეთი გახლდათ: „კიევოს" გარდა ყველა ლიდერმა გაიმარჯვა. მაგალითად, „იუვენტუსმა" ბრეშაში მოიგო, თან 4:0.

„თანდათან ნამდვილ გუნდს ვემსგავსებით — თქვა „იუვეს" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ — სეზონის მიწურულს უეჭველად სკუდეტოს შორიახლოს ვიტრიალებთ".

გაიმარჯვა „მილანმაც", ხოლო „ლაციოს", რომელმაც ვერ გაიმარჯვა, მოდი, ლიდერად ნუ ჩავთვლით. ბოლოს და ბოლოს, მეექვსე ადგილზე მყოფი გუნდი რანაირი ლიდერია. „ლაციო" არგენტინელი კლაუდიო ლოპესის ორი გოლის წყალობით 2:0-ს იგებდა, მაგრამ „ბოლონია" არ შეეპუა და გაქვითა.

ბოლოს კი „პარმაზე" ვთქვათ, სადაც საფეხბურთო საქმეთა დირექტორად არიგო საკი მიიყვანეს და ის მწვრთნელ გედეონე კარმიჯანისთან ერთად კრიზისს ეომება. ომი წარმატებით დაიწყო. ზედიზედ ექვსი წაგების შემდეგ პარმელებმა როგორც იქნა, გაიმარჯვეს, „ფიორენტინას" სძლიეს 2:0.

კარმიჯანი: „ჩვენ საკის ტრადიციულ ფორმულას ვუბრუნდებით, ეს ფორმულა კი ყოველთვის მომგებიანი იყო".

**ბაჩუნა ძიძია**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ინტერი | 16 | 10 | 4 | 2 | 31:16 | 15 | 34 | 8 | 6 | 0 | 2 | 17:8 | 9 | 18 | 8 | 4 | 4 | 0 | 14:8 | 6 | 16 |
| 2 რომა | 16 | 9 | 6 | 1 | 24:9 | 15 | 33 | 8 | 5 | 3 | 0 | 12:3 | 9 | 18 | 8 | 4 | 3 | 1 | 12:6 | 6 | 15 |
| 3 კიევო | 15 | 9 | 2 | 4 | 28:19 | 9 | 29 | 7 | 6 | 0 | 1 | 14:6 | 8 | 18 | 8 | 3 | 2 | 3 | 14:13 | 1 | 11 |
| 4 იუვენტუსი | 16 | 7 | 7 | 2 | 27:13 | 14 | 28 | 8 | 5 | 2 | 1 | 17:8 | 9 | 17 | 8 | 2 | 5 | 1 | 10:5 | 5 | 11 |
| 5 მილანი | 16 | 7 | 6 | 3 | 25:18 | 7 | 27 | 8 | 4 | 4 | 0 | 14:7 | 7 | 16 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 0 | 11 |
| 6 ლაციო | 15 | 6 | 6 | 3 | 21:12 | 9 | 24 | 8 | 4 | 4 | 0 | 14:3 | 11 | 16 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | -2 | 8 |
| 7 ბოლონია | 16 | 7 | 3 | 6 | 13:15 | -2 | 24 | 8 | 5 | 1 | 2 | 9:7 | 2 | 16 | 8 | 2 | 2 | 4 | 4:8 | -4 | 8 |
| 8 ვერონა | 16 | 6 | 4 | 6 | 22:24 | -2 | 22 | 8 | 4 | 3 | 1 | 14:9 | 5 | 15 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:15 | -7 | 7 |
| 9 უდინეზე | 16 | 6 | 3 | 7 | 24:25 | -1 | 21 | 9 | 2 | 2 | 5 | 12:17 | -5 | 8 | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 4 | 13 |
| 10 ატალანტა | 16 | 6 | 3 | 7 | 21:27 | -6 | 21 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:14 | -3 | 11 | 8 | 3 | 1 | 4 | 10:13 | -3 | 10 |
| 11 პერუჯა | 16 | 5 | 4 | 7 | 17:20 | -3 | 19 | 8 | 4 | 3 | 1 | 10:4 | 6 | 15 | 8 | 1 | 1 | 6 | 7:16 | -9 | 4 |
| 12 პიაჩენცა | 16 | 5 | 3 | 8 | 23:24 | -1 | 18 | 8 | 3 | 0 | 5 | 12:11 | 1 | 9 | 8 | 2 | 3 | 3 | 11:13 | -2 | 9 |
| 13 ბრეშა | 16 | 4 | 6 | 6 | 19:28 | -9 | 18 | 8 | 2 | 4 | 2 | 14:17 | -3 | 10 | 8 | 2 | 2 | 4 | 5:11 | -6 | 8 |
| 14 ტორინო | 16 | 4 | 5 | 7 | 18:22 | -4 | 17 | 8 | 4 | 0 | 4 | 11:9 | 2 | 12 | 8 | 0 | 5 | 3 | 7:13 | -6 | 5 |
| 15 ლეჩე | 16 | 4 | 5 | 7 | 18:24 | -6 | 17 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:10 | 0 | 9 | 8 | 2 | 2 | 4 | 8:14 | -6 | 8 |
| 16 პარმა | 16 | 3 | 5 | 8 | 17:24 | -7 | 14 | 8 | 3 | 3 | 2 | 12:10 | 2 | 12 | 8 | 0 | 2 | 6 | 5:14 | -9 | 2 |
| 17 ფიორენტინა | 16 | 4 | 2 | 10 | 17:32 | -15 | 14 | 8 | 3 | 2 | 3 | 9:10 | -1 | 11 | 8 | 1 | 0 | 7 | 8:22 | -14 | 3 |
| 18 ვენეცია | 16 | 2 | 4 | 10 | 12:25 | -13 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 5:7 | -2 | 6 | 9 | 1 | 1 | 7 | 7:18 | -11 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| უბნერი (პიაჩენცა) | 12 |
| შევჩენკო (მილანი) | 11 |
| დონი (ატალანტა) | 11 |
| ვიერი (ინტერი) | 11 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 10 |
| მუცი (უდინეზე) | 10 |

XVII ტური

2002 წლის 6 იანვარი

ატალანტა - კიევო
ბოლონია - ბრეშა
ფიორენტინა - პერუჯა
ინტერი - ლაციო
იუვენტუსი - უდინეზე
ლეჩე - მილანი
რომა - ტორინო
ვენეცია - პარმა
ვერონა - პიაჩენცა

### სერია B

ბ[illegible]რნლი 2:1 შეფ[illegible]
1:0 ნილსენი (17), 2:0 რობერტსი (59პ), 2:1 კონოლი (63პ)

პორტსმუთი 2:0 სტოკპორტი
1:0 კრუში (71), 2:0 ლოველი (82)

პრესტონი 0:0 გრიმსბი

შეფილდ იუნაიტედი 2:2 როტერჰემი
1:0 სუფო (48), 2:0 დევლინი (61), 2:1 უოტსონი (66), 2:2 სვეილზი (78)

უოტფორდი 1:1 ვულვერჰემპტონი
0:1 ნიუტონი (8), 1:1 სმიტი (26)

ვესტ ბრომვიჩი 1:1 შეფილდ უენსდი
0:1 ეკოკუ (55), 1:1 ფოქსი (84)

კრისტალ პალასი 1:1 ნოტინგემი
0:1 ჯონი (3), 1:1 მორისონი (37)

ძრიუ — მანჩესტერ სიტი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 25 | 15 | 5 | 5 | 48:33 | 50 |
| ვულვზი | 25 | 13 | 7 | 5 | 37:20 | 46 |
| სიტი | 24 | 14 | 3 | 7 | 55:34 | 45 |
| ნორვიჩი | 25 | 14 | 3 | 8 | 35:33 | 45 |
| ვესტ ბრომვიჩი | 25 | 13 | 4 | 8 | 28:21 | 43 |
| ქოვენთრი | 25 | 12 | 4 | 9 | 32:24 | 40 |
| მილუოლი | 24 | 11 | 6 | 7 | 39:28 | 39 |
| ბირმინგემი | 25 | 11 | 6 | 8 | 40:32 | 39 |
| კომო | 18 | 12 | 2 | 4 | 26:16 | 38 |
| ემპოლი | 18 | 11 | 4 | 3 | 34:18 | 37 |
| მოდენა | 18 | 10 | 6 | 2 | 35:12 | 36 |
| რეჯინა | 18 | 10 | 6 | 2 | 27:14 | 36 |
| ვიჩენცა | 18 | 7 | 6 | 5 | 26:26 | 27 |
| კოზენცა | 18 | 8 | 3 | 7 | 26:28 | 27 |
| ნაპოლი | 17 | 7 | 5 | 5 | 22:20 | 26 |
| სალერნიტანა | 17 | 7 | 5 | 5 | 24:23 | 26 |
| ჯენოა | 18 | 6 | 7 | 5 | 22:17 | 25 |
| პალერმო | 18 | 7 | 4 | 7 | 24:26 | 25 |
| ბარი | 18 | 7 | 4 | 7 | 17:20 | 25 |
| სამპდორია | 18 | 6 | 5 | 7 | 24:24 | 23 |
| მესინა | 18 | 5 | 7 | 6 | 18:20 | 22 |
| ანკონა | 18 | 6 | 3 | 9 | 16:27 | 21 |
| პისტოიეზე | 18 | 4 | 6 | 8 | 14:19 | 18 |
| ჩიტადელა | 18 | 5 | 3 | 10 | 22:31 | 18 |
| კალიარი | 18 | 3 | 7 | 8 | 14:21 | 16 |
| სიენა | 18 | 3 | 6 | 9 | 16:26 | 15 |
| ტერნანა | 18 | 2 | 8 | 8 | 17:27 | 14 |
| კროტონე | 18 | 2 | 5 | 11 | 19:28 | 11 |

### სერია C1/a

მე-17 ტური: ალძანო — ლივორნო 0:2; არეცო — სპალ 1:2; ჩეზენა — ლუკეზე 2:0; ლუმეცანე — პადოვა 5:1; მონცა — ტრიესტინა 0:1; პიზა — რეჯანა 0:2; სპეცია — ალბინოლეფე 1:0; ტრევიზო — ლეკო 1:0; ვარეზე — კარარეზე 2:1

### სერია C1/b

მე-17 ტური: ბენევენტო — კიეტი 3:0; კატანია — აველინო 3:1; ფერმანა — აკილა 2:1; ჯულიანოვა — ლანჩიანო 1:1; ლოდიჯანი — ტარანტო 1:2; ნოჩერინა — დი სანგრო 1:1; პესკარა — ტორესი 1:0; სორა — პეზარო 0:0; ვიტერბეზე — ასკოლი 0:0

# იტალიის ჩემპიონატი

## მეთექვსმეტე ტურის მატჩი

## მილანი 2:1 ვერონა

კახა კალაძე: 90 წუთი




მასიმო ამბროზინიმ ათი თვის უთამაშებლობა გოლით დაივიწყა

# მაქსიმალური შედეგი

**„სან სიროზე"** ვერონელთა დამარცხებას „მილანისგან" ბოლო წამების მონდომება და რუმინელი კოზმინ კონტრას გოლი დასჭირდა. საბოლოოდ ანგარიში 2:1 გამოვიდა.

თავიდან მასიმო ამბროზინიმ შეაგდო — ეს ფეხბურთელისთვის ბოლო 10 თვეში მოედანზე პირველი გამოჩენა გახლდათ.

„ბედნიერი ვარ დღევანდელი ამბებით — თქვა შემდეგ ამბროზინიმ — დიდი ხანია აღარ მითამაშია და ამან საოცარი ბრაზი დამიგროვა. ახლა მინდა ექიმებს საგანგებო მადლობა ვუძღვნა".

ამბროზინის დაბრუნებამ მილანელთა მწვრთნელი, კარლო ანჩელოტიც გაახარა. ხუმრობა ხომ არ არის, მას ტრავმებმა ერთდროულად ორი წამყვანი ფეხბურთელი, პაოლო მალდინი და ფილიპო ინძაგი გამოაცალა ხელიდან.

„ათთვიანი უმოქმედობის შემდეგ დაბრუნება მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ, თუმცა ასე სწრაფად გოლის გატანას ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა. ვაკვირდებოდი და ვხედავდი, რომ მოედანზე უსაქმოდ ერთი წამით არ გაჩერებულა, ეტყობა, რომ ამ ბიჭს ნამდვილი ჟინი და საქმეში ჩართვის სურვილი აქვს".

მაგრამ ამბროზინისთვის ასე სასიამოვნო ამბავი პარმელი ფაბიო კანავაროს უმცროსი ძმისთვის, პაოლოსთვის იყო ძალიან უსიამოვნო. ის ხომ „ვერონას" ფეხბურთელია. ამიტომაც ადგა კანავარო და გაქვითა, თუმცა კონტრამ კონტრსაქციელით დაუსვა ყველაფერს წერტილი.

საქართველოს ნაკრების წევრი კახა კალაძე კი კარლო ანჩელოტიმ მოედანზე თავიდან ბოლომდე ამყოფა და არც შეცდა — კონტრამ გამარჯვების გოლი სწორედ კალაძის პასით გაიტანა.

**ბაჩუნა ძიძია**

# შემთხვევით საუკეთესო

**წლის ბოლოა** და, მოგეხსენებათ, სწორედ ამ პერიოდში ვლინდება სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები. იტალიაში წლის საუკეთესო გოლად ანდრეი შევჩენკოს მიერ მეთოთხმეტე ტურში „იუვენტუსის" კარში გატანილი აღიარეს, რომელიც ზოგმა შემთხვევითობასაც მიაწერა. რაღა შორს წავიდეთ, თავად ფეხბურთელმაც ასე თქვა.

ამ გოლს ბევრი ადარებს 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში რინატ დასაევის კარში მარკო ვან ბასტენის შეგდებულს. ისე, ვან ბასტენიც მილანელი არ იყო? როგორც ჩანს, „მილანის" თავდამსხმელებს სჩვევიათ, მეკარეს წარმოუდგენელი პოზიციიდან გაუტანონ.

## ბელგია

### I დივიზიონი

### გადადებული მატჩები

**ანდერლეხტი 1:0 ბრიუგე**

1:0 დინდანე (70)

**ვესტერლო 1:2 სტანდარდი**

0:1 მორეირა (15), 0:2 ერნსტი (18), 1:2 პელიჩი (20)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 17 | 12 | 1 | 4 | 38:19 | 37 |
| სტანდარდი | 17 | 11 | 4 | 2 | 32:18 | 37 |
| გენკი | 17 | 10 | 6 | 1 | 48:23 | 36 |
| გენტი | 17 | 11 | 3 | 3 | 32:21 | 36 |
| ანდერლეხტი | 17 | 10 | 5 | 2 | 36:18 | 35 |
| ლოკერენი | 17 | 8 | 5 | 4 | 25:17 | 29 |
| ბეერსხოტი | 17 | 7 | 5 | 5 | 35:24 | 26 |
| სენტ ტრუიდენი | 17 | 6 | 4 | 7 | 26:27 | 22 |
| შარლერუა | 17 | 6 | 3 | 8 | 15:29 | 21 |
| მუსკრონი | 17 | 6 | 1 | 10 | 29:28 | 19 |
| ვესტერლო | 17 | 5 | 3 | 9 | 28:32 | 18 |
| ლომელი | 17 | 4 | 6 | 7 | 28:36 | 18 |
| აალსტი | 17 | 5 | 3 | 9 | 18:35 | 18 |
| ლიერსი | 17 | 4 | 5 | 8 | 25:29 | 17 |
| მოლენბეკი | 17 | 5 | 2 | 10 | 23:32 | 17 |
| ანტვერპენი | 17 | 4 | 4 | 9 | 22:29 | 16 |
| ლუვიე | 17 | 3 | 5 | 9 | 20:36 | 14 |
| ბეევერენი | 17 | 1 | 5 | 11 | 16:43 | 8 |

### II დივიზიონი

მე-18 ტური: დენდერი — ვირტონი 3:0; მეხელენი — ვიზე 2:0; ინგელმუნსტერი — სტრომბეკი 2:1; ბატრო — მონსი 0:1; ლიეჟი — ჰეუსდენი 1:2; დენდერლეეუ — ტიენენი 2:0; სერკლი — გეელი 2:0; რუზელარე — ფლაანდერენი 0:2. რონსი — დაინცე გადაიდო

## თურქეთი

მე-17 ტური: ბეშიქთაში — გაზიანთეფი 3:1; მალათია — სამსუნი 1:3; ტრაბზონი — გიოზთეფე 3:0; ქოჯაელი — დენიზლი 2:1; ანკარაგიუჯიუ — რიზე 1:1; ისთანბული — ანთალია 4:1; დიარბაქირი — ფენერბაჩე 2:1; ბურსა — გენჩლერბირლიგი 0:1; იოზგათი — გალათასარაი 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 17 | 11 | 3 | 3 | 45:23 | 36 |
| გალათასარაი | 16 | 11 | 3 | 2 | 41:22 | 36 |
| ფენერბაჩე | 17 | 11 | 1 | 5 | 36:19 | 34 |
| ისთანბული | 17 | 9 | 3 | 5 | 19:15 | 30 |
| გაზიანთეფი | 17 | 8 | 4 | 5 | 25:19 | 28 |
| ანკარაგიუჯიუ | 17 | 8 | 3 | 6 | 40:28 | 27 |
| ბურსა | 17 | 8 | 2 | 7 | 22:26 | 26 |
| ტრაბზონი | 17 | 7 | 4 | 6 | 28:21 | 25 |
| ქოჯაელი | 16 | 7 | 4 | 5 | 23:21 | 25 |
| დიარბაქირი | 17 | 6 | 3 | 8 | 28:32 | 21 |
| გიოზთეფე | 17 | 5 | 5 | 7 | 13:30 | 20 |
| რიზე | 17 | 4 | 7 | 6 | 20:22 | 19 |
| დენიზლი | 17 | 4 | 6 | 7 | 30:25 | 18 |
| სამსუნი | 17 | 5 | 3 | 9 | 16:26 | 18 |
| ანთალია | 17 | 4 | 5 | 8 | 24:39 | 17 |
| იოზგათი | 17 | 4 | 4 | 9 | 24:32 | 16 |
| გენჩლერბირლიგი | 17 | 3 | 6 | 8 | 24:34 | 15 |
| მალათია | 17 | 4 | 0 | 13 | 13:37 | 12 |


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80


# გუდა, გუდა, თოვლის გუდა

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XX ტური

**რეინჯერსი 3:2 დანდი იუნაიტედი**

1:0 არველაძე (21), 1:1 ტომპსონი (29), 2:1 ამორუზო (44), 3:1 არველაძე (55), 3:2 ტომპსონი (67)

რეინჯერსი: კლოსი, ლ. ამორუზო, კონტერმანი, ტ. ვიდმარი, მ. როსი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი, ნუმანი, რ. დე ბური, ფლო (კანიჯა 74), შ. არველაძე

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: კლარკი

47 315 მაყურებელი

**დანდი 1:2 კილმარნოკი**

0:1 მიტჩელი (41), 1:1 რაე (48), 1:2 მიური (58)

დანდი: ლენგფილდი, სმიტი, დელ რიო, ჟი (ნავედა 85), ბეგეტო, რაე, ტორესი, არტერო (მილნი 46), ძიგბაია, კარანსა, კაბალიერო

ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი ნემსაძე ტრავმირებულნი არიან

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

გაფრთხილება: ძიგბაია, კაბალიერო, დელ რიო

მსაჯი: ანდერსონი

6 342 მაყურებელი

**აბერდინი 2:0 სელტიკი**

1:0 უინტერსი (69), 2:0 მაკი (90)

**ჰართსი 3:1 მოზერუელი**

0:1 ელიოტი (20), 1:1 ფულერი (54), 2:1 მაკენა (64), 3:1 ფულერი (79)

**ლივინგსტონი 0:0 დანფერმლაინი**

**სენტ ჯონსტონი 0:0 ჰიბერნიანი**

**არ გადავაჭარბებთ,** თუ ვიტყვით, რომ ამ დღეს მთელი შოტლანდია ელოდა — „სელტიკმა", როგორც იქნა, წააგო, ეს გლაზგოელ კათოლიკეთა პირველი დამარცხება გახლდათ ამ სეზონში. მძლეველი გუნდი „აბერდინი" გამოდგა, რომელმაც ზედიზედ მეცხრე საშინაო მატჩი მოიგო სქოთურ პრემიერლიგაში.

სუსხიანმა აბერდინმა გლაზგოელები არ დაინდო — „სელტიკს" გადარჩენის შანსი არ ჰქონდა. აბერდინელმა ფანებმა სტუმრებს თოვლის გუნდებიც კი დაუშინეს. ყველაზე ლაზათიანად ორი სელტიკელი დაიბომბა — სტილიან პეტროვი და ალან ტომპსონი. თვალსასეირო სხვაც იყო. კერძოდ, აბერდინელთა კაპიტან დერეკ ვიტის გაძევება. ის სტუმარ ბობი პეტას წაეკინკლავა. „მსაჯი შორს იდგა და ჩათვალა, რომ მეტოქეს ვემუქრებოდი, მე კი პეტასგან მხოლოდ ის მინდოდა, რომ ბურთი გადაეგდო, რათა მსაჯს თამაში გაეჩერებინა. ერთი სიტყვით, რაც მოხდა, პეტასგან არაჯენტლმენური საქციელი გახლდათ. ახლა ვაპირებ, ლუდი მივირთვა, რადგან, როგორც ჩანს, კრივისთვის ჩამოსაწერი გავხდი" — ნათქვამს იუმორიც გაურია აბერდინელთა კაპიტანმა.

გლაზგოელთა მეკარემ ასაღები ბურთი გაუშვა — უინტერსმა 20 მეტრიდან სუსტად დაარტყა და მაინც გაიტანა. მეორედგოლში კი, მეკარეს ვეღარ დავადანაშაულებთ — მაკის გოლი რიკოშეტით გავიდა.

აბერდინში წინ საშობაო დღეები ერთობ გახურდა. იქ ისეთი ზეიმია, როგორც 1983-84 წლებში — მაშინდელი, ალექს ფერგიუსონის ნაწრთობი „აბერდინი" ხომ ქვას ქვაზე არ ტოვებდა.

გაიხარეს გლაზგოშიც, ოღონდ მხოლოდ აიბროქსელებმა. „რეინჯერსმა" ალექს მაკლიშის ხელში პირველი პრემიერლიგური მატჩი მოიგო და „სელტიკთან" ჩამორჩენა ათ ქულამდე შეამცირა. ისევ იყოჩაღა შოთა არველაძემ — ის და „ჩაფართა" მცველი ლორენცო ამორუზო საუკეთესონი იყვნენ.

ისე კი, „დანდი იუნაიტედი" ფხიანად იბრძოდა. ალექს მაკლიშს ნერვები დააწყდა, მისმა გუნდმა რის ვაივაგლახით მოიგო.

„რეინჯერსის" პირველივე მწვავე იერიში გოლით დასრულდა — ექსაიაქსელებმა რონალდ და ბურმა და ქართველმა მოხდენილი კომბინაციით „იუნაიტედის" დაცვა გააბრუეს, და შოთამ ცაცხიათი გაიტანა.

„იუნაიტედმა" კუთხურით გაათანაბრა — შტეფან ტომპსონმა ხარიხიდან არეკნილი ბურთი თავურით შეაგდო. ასევე კუთხურით იხეირა „რეინჯერსმაც", როცა ამორუზომ ბურთს ლონივრად უთავაზა.

იტალიელმა ერთხელაც გამოიჩინა თავი. მან ცენტრიდან დიაგონალური პასი მისცა მარცხენა ფლანგზე მყოფ არველაძეს. ქართველს რიკსენი გაეხსნა, რომელიც წააქციეს, მაგრამ მსაჯმა არ ჩასტვინა და შოთამ ინიციატივა თავის თავზე აიღო, ერთი მეტოქე მოატყუა, საჯარიმოში შეიჭრა და აქტივში მერვე პრემიერლიგური გოლიც ჩაიწერა.

ამის მერე იყო, ტონი ვიდმარი ძალიან უხეშად რომ შეცდა და ტომპსონს მეორედაც დაალაშქრინა შტეფან კლოსის კარი.

მიუხედავად ამისა, მატჩი ისევ „რეინჯერსის" კარნახით გაგრძელდა. მიზანი ვერ გაისწორა ტორე ანდრე ფლომ, ხოლო არველაძის და არტურ ნუმანის დარტყმებს „იუნატედის" მეკარე გადაეფარა.

„3:1-ზე აღარ უნდა გაგვეშვა — თავს უფრო კომფორტულად ვიგრძნობდით — თქვა ნამატჩევს ალექს მაკლიშმა და ამორუზოს ქება რომ მოათავა, შოთა არველაძესაც გადასწვდა — ვფიქრობ, ის დღეს ბრწყინვალე იყო, ჰეთ თრიქის შესრულებაც შეეძლო."

ნაოპერაციევი გიორგი ნემსაძის და მუხლმტკივანი ზურაბ ხიზანიშვილის გარეშე დარჩენილმა „დანდიმ" თავი შეირცხვინა. გუნდის იტალიელი თავკაცი ივანო ბონეტი დაიქადნა კიდეც, ბევრს მოუწევს სათადარიგოთა სკამზე მოყურებაო: „მომდევნო მატჩისთვის საგრძნობი ცვლილებები იქნება. თუ გამარჯვება გინდა, ოფლი უნდა დაღვარო. ამას კი ზოგი ჩვენი ფეხბურთელი არ აკეთებს. როცა „კილმარნოკმა" მეორე გოლი გაგვიტანა, ჩემი გუნდის შესაბამის რეაქციას ველოდი, რაც ვერ დავინახე. ამიტომაც ვარ ასე გაწბილებული."

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 19 | 17 | 1 | 1 | 44:9 | 52 |
| რეინჯერსი | 20 | 12 | 6 | 2 | 45:17 | 42 |
| ლივინგსტონი | 19 | 10 | 7 | 2 | 28:13 | 37 |
| აბერდინი | 20 | 10 | 3 | 7 | 31:28 | 33 |
| კილმარნოკი | 20 | 8 | 3 | 9 | 22:24 | 27 |
| ჰართსი | 20 | 7 | 3 | 10 | 26:27 | 24 |
| დანდი | 20 | 6 | 5 | 9 | 20:30 | 23 |
| დანდი იუნაიტედი | 20 | 5 | 7 | 8 | 22:35 | 22 |
| ჰიბერნიანი | 20 | 5 | 6 | 9 | 26:30 | 21 |
| დანფერმლაინი | 20 | 6 | 3 | 11 | 23:37 | 21 |
| მოზერუელი | 20 | 4 | 6 | 10 | 24:39 | 18 |
| სტ. ჯონსტონი | 20 | 2 | 4 | 14 | 13:35 | 10 |

### I დივიზიონი

მე-20 ტური: ინვერნესი — არბოთი 2:2. პარტიკ თისლი — ეარი, რეით როვერსი — ფოლკირკი, ეირდრი — სტ. მირენი, კლაიდი — როს ქაუნთი გადაიდო

### II დივიზიონი

ყველა თამაში გადაიდო

### III დივიზიონი

მე-18 ტური: პიტერჰედი — მონტროუზი 4:0. დანარჩენი ყველა თამაში გადაიდო

# შარი იჯარით

## დელ ბოსკე გაფრთხილებთ...

**ჯერ კიდევ** რამდენიმე დღის წინ პსჟ-ს პრეზიდენტი რობერ პერპერი აცხადებდა, ნიკოლა ანელკას იჯარითაც არ გავცემთო. თუმც ლივერპულელებმა ისეთი გარიგება შესთავაზეს, რომ პრეზიდენტს ჭკუაში დაუჯდა. აი, შედეგიც — სეზონის ბოლომდე ანელკა „ლივერპულში" იბურთავებს, მერე კი მერსისაიდელებმა შესაძლოა იგი პარიზელებისგან სრულად გამოისყიდონ.

„გამიკვირდა, როდესაც ეს ამბავი შევიტყვე, რადგან ამის შესახებ ლაპარაკი არც ყოფილა. ანელკა ძლიერი ფორვარდია. კარგად მახსოვს მისი გატანილი გოლები, როცა „არსენალში" თამაშობდა. თუ ის კვლავაც ასე გაირჯება, ჩვენი გაჩემპიონების შანსი ერთიორად გაიზრდება. თავდამსხმელი ამჟამად ძალიან გვჭირდება, რაკი რობი ფაულერი, მოგეხსენებათ, „ლიდსში" გადავიდა" — მაიკლ ოუენს ეს ამბავი გახარებია და ჩანს, კონკურენციისაც არ ეშინია.

ფრანგზე ფრანგი როგორ არ იტყოდა ორიოდ სიტყვას, მით უფრო თუ სამსახურებრივადაც ევალება? ანელკას ახალმა დამრიგებელმა ჟერარ ულიემ განაცხადა: „ვიცი, მის ჭირვეულ ხასიათზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს, რადგან მოვიყვანე, ესე იგი მისი მჯერა."

ყოფილი ოსერელი, ამჟამად ლივერპულელი ბერნარ დიომედი: „ჩვენი თამაში სწრაფ შეტევებზეა აწყობილი. ანელკა ზუსტად მოერგება ამ სტილს. მჯერა, ნიკო მალე გახდება ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი, თანაც შეუძლია, ლივერპულში აბსოლუტურად მშვიდად იყოს, მას არავინ შეაწუხებს."

დიომედს ყოფილმა პსჟ-ელმა და ახლა კი „სელტას" მოთამაშე პეტერ ლუქსენმაც აუბა მხარი: „ნახავთ, რომ იგი იბრწყინებს, როგორც ეს „არსენალში" გააკეთა. სიმართლე გითხრათ, მომწყინდა იმაზე ლაპარაკი, თითქოს ანელკა შარიანია და პრობლემებს ქმნის. ეს ასე არაა."




REUTERS

ზაფხულში ნაყიდ ჩეხ მილან ბაროშს სამუშაო ვიზა, ნიკოლა ანელკას კი კონტრაქტი „ლივერპულმა" ერთ დღეს გაუხერხა

მაგრამ მოდით, ისეც ნუ გამოვიყვანთ, თითქოს ანელკა ცხვარივით ბიჭია. ვისენტე დელ ბოსკე: „მადრიდში მან რამდენჯერმე სერიოზული პრობლემა შეგვიქმნა. ამასთანავე, როგორც ფეხბურთელმა, საჭირო პროფესიულ დონეს ვერ მიაღწია. თვით ლუის ფერნანდესიც ყოველთვის ამბობდა, რომ მან იცის, როგორ მოექცეს ანელკას, მაგრამ როგორც ნახეთ, ვერც მასთან მოიკიდა ფეხი."

სავარაუდოდ, „ლივერპულის" ახალწვეულის დებიუტი „ასტონ ვილასთან" შედგება.

მოგზაურობა კი გრძელდება — პარიზიდან ლონდონში, ლონდონიდან მადრიდში, მადრიდიდან ისევ პარიზში და ახლა ლივერპულში. დეპო კი ჯერ არ ჩანს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დენიო სიკვდილს დაემგობრდა




მარსელი — ლანსი. მასპინძელმა ჟერომ ლერუამ (ცენტრში) თავი არ დაზოგა, მაგრამ რად გინდა...

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XIX ტური

**სოშო 0:2 პსჟ**
0:1 ლ. ლერუა (38), 0:2 ოგბეჩე (44)

**ნანტი 1:0 ტრუა**
1:0 მოლდოვანი (85)

**გენგამი 1:2 სედანი**
1:0 მალუდა (17), 1:1, 1:2 ა. კამარა (76, 84)

**მონაკო 3:1 რენი**
1:0 ს. კამარა (3), 2:0 ნონდა (66), 2:1 პიკონე (79), 3:0 ფარნერუდი (90)

**მარსელი 1:2 ლანსი**
1:0 ლებეფი (73), 1:1 დიუფი (40), 1:2 ა. კულიბალი (82)

**ოსერი — ლორიანი**
**ლიონი — ბასტია**
**მეცი — მონპელიე**
**ლილი — ბორდო**
გადაიდო

„ნანტი“ ტრადიციულ ყვითელ-მწვანე ფორმაში გამოწყობილიყო. მწვრთნელ რეინალდ დენიოსაც, „ტრუასთან“ მატჩის წინ მომწვანო-მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა სახეზე. წინა სეზონში „ნანტის“ გაჩემპიონება თუ მისი დამსახურება იყო, ახლა გუნდის ჩავარდნა, რა თქმა უნდა, მასვე ბრალდება. მიუხედავად ამისა, დენიო ფეხზე მაინც მყარად იდგა და ცოტა წაიფილოსოფოსა კიდეც: „მწვრთნელმა კარგად იცის, რომ მას როდესღაც აუცილებლად გაათავისუფლებენ, ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანი ოდესმე აუცილებლად მოკვდება. მწვრთნელი თუ ამას გაითავისებს, შიშიც აღარაფრის ექნება და ყურადღებას მთლიანად გუნდის თამაშზე გადაიტანს. ჩემი საქმე ქულების მოგროვება და კონკრეტული მატჩის წინ ფეხბურთელთა მომზადებაა, მე მხოლოდ ეს მაღელვებს. რაც შეეხება ჩემს მომავალს, თუ ძალიან გაინტერესებთ, შეგიძლიათ, რამდენიც გნებავთ იფიქროთ“.

ასე ბჭობდა რეინალდ დენიო „ტრუასთან“ შეხვედრამდე, „ნანტის“ პრეზიდენტი ჟან ლუკ გრიპონი კი დენიოს შემცვლელს ეძებდა.

მატჩის მსვლელობისას პრეზიდენტი, ალბათ, ისევ მომავალ მწვრთნელზე ფიქრობდა, მაგრამ 85-ე წუთზე ფიქრი ვიორელ მოლდოვანმა შეაწყვეტინა, რომელმაც გამარჯვების გოლი გაიტანა. ამ გოლმა დენიო შეიძლება თავის პოსტზე დატოვოს, „ნანტი“ კი როგორც იქნა, ბოლო ადგილიდან დაიძრა და ერთი საფეხურით მაღლა აბობღდა.

„მარსელის“ აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი ხორვატი ტომისლავ ივიჩი რახანია გულს უჩიოდა და ძველებურად ვეღარ მუშაობდა. ამიტომაც სამშობლოში გაემგზავრა დასასვენებლად და შობა-ახალწელიწადსაც იქ გაატარებს. მისი ადგილი კი „მარსელში“ დროებით ალბერ ემონმა დაიკავა, რომლის დებიუტიც უიღბლო გამოდგა.

„ოლიმპიკი“ „ლანსთან“ თავიდან დაწინაურდა, ფრანკ ლებეფმა თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა. მაგრამ მასპინძლებმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს და სენეგალელმა ელ ჰაჯი დიუფმა გაათანაბრა. მეორე ტაიმი ისე წარიმართა, მეტოქეები თითქოს ფრეზეც ყაბულს იყვნენ, მაგრამ ლანსელმა ადამა კულიბალიმ 82-ე წუთზე ფეხი გამოყო და მარსელიდან თავისიანებს სამი ქულა წაალებინა.

ამასობაში მარსელელთა სპორტულმა დირექტორმა ბერნარ ტაპიმ ერთ-ერთ ფრანგულ ჟურნალს თავისი ზრახვები გაანდო. ამ ზამთარს სამ ახალ ფეხბურთელს დავიმატებთო, უთქვამს ტაპის, თუმცა მათი ვინაობა არ გაუმხელია: „მე გუნდში უკვე მყავს მსოფლიო დონის სამი მოთამაშე — ანდრე ლუისი, ფრანკ ლებეფი და ვან ბუიტენი. მე ვამბობდი, რომ პირველი წრის ბოლოს ათეულში ვიქნებოდით და ეს შევძელით. აი, სეზონი დასრულდება და ევროთასებზე გამსვლელ ადგილსაც დავიკავებთ. ამის მისაღწევად სამი ფეხბურთელი კიდევ გვჭირდება, რომლებსაც უკვე მივაგენი და მალე შემოგვიერთდებიან“.

დიდიე დეშანის „მონაკომ“ „რენს“ უმასპინძლა და ჰაერივით საჭირო სამი ქულა მოიპოვა. მესამე წუთზევე სტუმართა მეკარე ფაბიენ დებემ ბურთი უშნოდ მოიგერია, რაც სულეიმან კამარამ შეიშნო და ანგარიში გახსნა. 66-ე წუთამდე მეტი გოლი აღარ გასულა, აქ კი იმავე კამარამ შაბანი ნონდას საგოლე პასი გაუხერხა და მანაც ზუსტად დაჰკრა. ცამეტიოდ წუთში რენელმა ფრედრიკ პიკონემ ერთი კი გაქვითა, მაგრამ მსაჯის მიერ წამატებულ დროში „მონაკოს“ გამარჯვება პონტუს ფარნერუდმა საბოლოოდ გააფორმა.

პსჟ „სოშოს“ სტუმრობდა. პარიზელებს მეორე ტაიმში გაბრიელ ჰაინცე გაუძევეს, თუმცა ამ დროისთვის ისინი უკვე ორი ბურთით იგებდნენ. პირველი ნახევრის მიწურულს ლორენ ლერუამ და ნიგერიელმა ბართოლომეო ოგბეჩემ მოუმთავრეს საქმე მასპინძლებს.

თავისი პირველი გასვლითი მატჩი მოიგო „სედანმა“. წინა ტურში „ლიონის“ მძლეველმა ამჯერად გენგამიდან წაიღო სამი ქულა. მასპინძლები ფლორენ მალუდას მე-17 წუთზე გატანილით კი ხარობდნენ, მაგრამ ბოლოსკენ სედანელმა ანრი კამარამ დუბლი შეასრულა, რისთვისაც სულ შვიდი წუთი დასჭირდა.

**გაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 19 | 12 | 5 | 2 | 35:14 | 41 |
| ლიონი | 18 | 10 | 3 | 5 | 33:18 | 33 |
| ოსერი | 18 | 9 | 6 | 3 | 26:18 | 33 |
| ლილი | 18 | 9 | 6 | 3 | 25:17 | 33 |
| პსჟ | 19 | 7 | 10 | 2 | 22:13 | 31 |
| ბორდო | 18 | 7 | 7 | 4 | 15:10 | 28 |
| სოშო | 19 | 7 | 6 | 6 | 27:24 | 27 |
| ტრუა | 18 | 7 | 4 | 7 | 21:21 | 25 |
| მარსელი | 19 | 5 | 8 | 6 | 17:17 | 23 |
| მონპელიე | 17 | 5 | 7 | 5 | 17:15 | 22 |
| სედანი | 19 | 5 | 7 | 7 | 22:22 | 22 |
| ბასტია | 18 | 7 | 1 | 10 | 20:27 | 22 |
| მონაკო | 18 | 5 | 5 | 8 | 19:21 | 20 |
| რენი | 19 | 5 | 5 | 9 | 18:29 | 20 |
| გენგამი | 19 | 5 | 5 | 9 | 16:31 | 20 |
| მეცი | 17 | 5 | 2 | 10 | 9:18 | 17 |
| ნანტი | 19 | 4 | 4 | 11 | 14:28 | 16 |
| ლორიანი | 18 | 4 | 3 | 11 | 27:40 | 15 |

### II დივიზიონი

21-ე ტური: ბოვე — მარტიგი 2:0; კაენი — აიაჩო 1:1; გრენობლი — ამიენი 4:0; ლე მანი — სენტ ეტიენი 3:0; ნიმი — ნიცა 0:3; ნიორი — ლავალი 1:1. სტრასბური — ისტრი, შატორუ — გენიონი, კრეტეი — ვასკეალი, ნანსი — ლე ავრი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტრასბური | 20 | 11 | 6 | 3 | 29:12 | 39 |
| ბოვე | 21 | 10 | 8 | 3 | 25:12 | 38 |
| აიაჩო | 21 | 10 | 7 | 4 | 28:16 | 37 |
| ლე ავრი | 20 | 9 | 9 | 2 | 28:13 | 36 |
| ნიცა | 21 | 10 | 3 | 8 | 31:22 | 33 |
| კაენი | 21 | 8 | 7 | 6 | 30:30 | 31 |
| ამიენი | 21 | 8 | 6 | 7 | 27:24 | 30 |
| ლე მანი | 21 | 8 | 6 | 7 | 22:23 | 30 |
| შატორუ | 20 | 8 | 5 | 7 | 23:20 | 29 |
| ნანსი | 20 | 7 | 7 | 6 | 24:20 | 28 |
| გენიონი | 20 | 6 | 10 | 4 | 21:22 | 28 |
| ლავალი | 21 | 7 | 6 | 8 | 24:27 | 27 |
| ვასკეალი | 20 | 7 | 4 | 9 | 23:27 | 25 |
| გრენობლი | 21 | 6 | 6 | 9 | 19:31 | 24 |
| ნიორი | 21 | 4 | 10 | 7 | 21:26 | 22 |
| სენტ ეტიენი | 20 | 5 | 7 | 8 | 20:29 | 22 |
| ისტრი | 20 | 4 | 7 | 9 | 17:24 | 19 |
| მარტიგი | 21 | 4 | 6 | 11 | 15:28 | 18 |
| კრეტეი | 19 | 3 | 7 | 9 | 18:27 | 16 |
| ნიმი | 21 | 2 | 9 | 10 | 16:28 | 15 |

## ფეხბურთის ქრონიკა



ბრაზილიური „ატლეტიკო პარანენსე“ თავის ისტორიაში პირველად დაეუფლა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს. საპასუხო ფინალურ მატჩში „ატლეტიკომ“ „სან კაეტანოს“ 1:0 მოუგო. გამარჯვება პირველ შეხვედრაშიც პარანენსელებს ერგოთ — 4:2. ბრაზილიის შტატ პარანას კლუბს საუკეთესო შედეგი აქამდე 1983 წელს ჰქონდა, როდესაც ქვეყნის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა.

**ფრანგი მწვრთნელი კლოდ ლე რუ ჩინური „შანხაი კოსკოს“ თავკაცობას აპირებს. მას ადრე „სტრასბური“ და პსჟ გაუწვრთნია, ხოლო ახლა მეორე დივიზიონის „ნიმს“ უდგას სათავეში. ლე რუ ჩინურ კლუბში ახალი წლიდან იმუშავებს.**

კამერუნის ნაკრებისა და ფრანგული „მეცის“ მეკარე ჟაკ სონგო ეროვნულ გუნდს აფრიკის თასისთვის მოსამზადებელ საწვრთნელ შეკრებაზე, ალბათ, ვერ შეუერთდება. „მეცის“ ხელმძღვანელობა აპირებს, კამერუნის ფეხბურთის ფედერაციას მოელაპარაკოს და ფეხბურთელი 4 იანვრის ნაცვლად 12 იანვარს გაუშვას. „ნაკრები 1 იანვარს იკრიბება. ვფიქრობ, კლუბის ხელმძღვანელობა შეძლებს შეთანხმების მიღწევას ფედერაციასთან და საფრანგეთში 12-მდე დავრჩები“ — თქვა სონგომ. შეგახსენებთ, რომ აფრიკის თასი 19 იანვრიდან 10 თებერვლამდე მალიში ჩატარდება.

| **ფოთი** | რკალი, რუსთაველის №18 | |
| **საგარეჯო** | დავით ალმაშენებლის №30 | |
| **სამტრედია** | რუსთაველის გამზირი №27 | |
| **ბოლნისი** | სულხან-საბას გამზირი №104 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჯორდანი პანიკას თესს, ვაშინგტონი გამარჯვებას იმკის

21 დეკემბერი

**მაიამი 81:86 კლივლენდი**

(ძირითადი დრო 78:78)

მაიამი: სტრიკლენდი (14), ე. ჯონსი (24), ჯეკსონი (8), გრანტი (9), მურნინგი (16); ..ისი (4), ბაუსი (4), გილი (2)

კლივლენდი: მილერი (10), პერსონი (13), მიურეი (7), ჯ. ჯონსი (18 ქულა, 15 მოხსნა), მიმი (12); ილგაუსკასი (16), დევისი (10), კოულზი, სკინერი

23 დეკემბერი

**ტორონტო 83:76 მაიამი**

ტორონტო: ე. ვილიამსი (11), კარტერი (27 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), პეტერსონი (10), ა. დევისი (12 ქულა, 10 მოხსნა), მონტროსი; კარი (12), კლერკი (6), მიურეი (2), აროიო (2), ჯ. ვილიამსი (1), ბრედლი

მაიამი: სტრიკლენდი (5), ჯონსი (11), ჯეკსონი (12), გრანტი (8), მურნინგი (9); გილი (6), გეტლინგი (6), სტეფანია (12 წუთი, 5 ქულა, 3 მოხსნა), ელისი (5), ჯეიმსი (5), ბაუსი (4), ალენი

18 დეკემბერს „იუტას" კალათში „მთელი" 56 ქულის ჩამგდებმა „მაიამიმ" ამჯერადაც „ალაფრთოვანა" ქომაგები. ამ უქმეებზე ორივე თამაშში გამარჯვებისთვის იბრძოლა. სხვა საქმეა, რომ „არ გაუმართლა" და წააგო.

„მაიამიმ" ამ სეზონში ორჯერ მოასწრო უხეირო „კლივლენდთან" წაგება და ამ პარასკევს ჯავრის ამოყრის საშუალება მიეცა, მაგრამ კლივლენდელები სხვაგვარად ფიქრობდნენ. გუნდის გამთამაშებელმა ანდრე მილერმა წინა ორ თამაშში პირწმინდად დაარბია „ჰითის" კალათი, ამჯერად კი თამაშიდან პირველად მეოთხე მეოთხედის მიწურულს ჩააგდო და თავისიანებს არანაკლები სამსახური გაუწია. მისმა სამქულიანმა ანგარიში გაათანაბრა — 78:78 და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებით ხუთწუთეულში „ჰითმა" სამიოდ ქულა თუ მოინაგრა და კლუბის ყველა დროის ანტირეკორდი დაამყარა.

„კლივლენდის" ვერმომგებ „მაიამის" ტორონტოში იქაურ „რეპტორზთან" არანაირი შანსი არ ჰქონდა. მართალი, საბოლოოდ პატ რაილის შეგირდებმა ოდენ შვიდი ქულის სხვაობით წააგეს, მაგრამ ოცით რომ დამარცხებულიყვნენ, არავის გაუკვირდებოდა.

21 დეკემბერი

**მემფისი 114:108 ლეიკერსი**

მემფისი: ვილიამსი (26), ნაითი (20)

ლეიკერსი: ბრაიანტი (36), ონილი (26)

**ორლანდო 75:93 ვაშინგტონი**

ორლანდო: არმსტრონგი (13)

ვაშინგტონი: დევისი (19)

**სან ანტონიო 109:74 დენვერი**

სან ანტონიო: დანკანი (21)

დენვერი: ვან ექსელი (11)

**გოლდენ სტეიტი 108:111 სიეტლი**

(ძირითადი დრო 96:96)

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (24), პიუზი (24)

სიეტლი: ლუისი (24), პეიტონი (20 ქულა, 12 პასი), ბეიკერი (18)

**ინდიანა 100:94 ნიუ ჯერსი**

ინდიანა: ონილი (29)

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (19)

**პორტლენდი 83:81 დეტროიტი**

პორტლენდი: ვოლესი (22)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (23)

**ფილადელფია 94:83 ატლანტა**

ფილადელფია: აივერსონი (24), მაკი (17)

ატლანტა: ტერი (22), სტრიკლენდი (17)

**ბოსტონი 98:92 იუტა**

ბოსტონი: პირსი (36), უოლკერი (19)

იუტა: მელოუნი (22 ქულა, 13 მოხსნა)

**მინესოტა 94:89 შარლოტი**

მინესოტა: გარნეტი (20)

შარლოტი: დევისი (25), ვესლი (16)

რაც საკალათბურთო კლუბი „გრიზლიზი" არსებობს, „ლეიკერსს" მასთან აქამდე ერთხელ თუ წაეგო. ამ პარასკევს „დათვებმა" ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი გუნდი მეორედ იმსხვერპლეს და სეზონის ყველაზე ხმაურიანი სენსაციაც გამოაცხვეს.

დიდი „ლეიკერსი" პატარა მემფისელებმა წამოაქციეს. „გრიზლიზის" ძირითადმა გამთამაშებელმა ჯეისონ ვილიამსმა ჩემპიონებს 26 ქულა ჩაუგდო, აქედან 10 ბოლო მეოთხედის 80-წამიან მონაკვეთში (!), ხოლო ვილიამსის შემცვლელმა, 178-სანტიმეტრიანმა ბრევინ ნაითმა 17 წუთში 20 ქულა დაატეხა თავს ძლევამოსილ მეტოქეს.

ზედიზედ მერვე გამარჯვება ჩაიწერა „ვაშინგტონმა", რომელიც პარასკევს „ორლანდოს" მასპინძლობდა. თუ წაგება უწერიათ დედაქალაქელებს, სწორედ „ორლანდოსთან" უნდა წაეგოთ, რადგან მატჩის დასაწყისიდანვე მოისაკლისეს ერთ-ერთი ლიდერი რიჩარდ ჰამილტონი, ხოლო თვით მაიკლ ჯორდანი ამ ამბავმა ისეთ პანიკაში ჩააგდო (თავად თქვა ასე), რომ 16 სროლიდან 13 ააცილა და შეხვედრა 12 ქულით დაასრულა, რაც მისთვის სეზონის ანტირეკორდია. ჯორდანის თანაგუნდელებმა გაუძლეს გამოცდას და „ვიზარდსმაც" იმარჯვა.

22 დეკემბერი

**ნიუ იორკი 86:87 ვაშინგტონი**

ნიუ იორკი: ტომასი (16), ჰიუსტონი (16)

ვაშინგტონი: ჯორდანი (26)

**ჰიუსტონი 115:110 მილუოკი**

ჰიუსტონი: მობლი (39), გრიფინი (24), ვილიამსი (22), ნორისი (19)

მილუოკი: რობინსონი (29), კასელი (28)

**კლიპერსი 101:85 საკრამენტო**

კლიპერსი: ბრენდი (26), რიჩარდსონი (20)

საკრამენტო: კრისტი (19), ჯეკსონი (19)

**ატლანტა 101:88 შარლოტი**

ატლანტა: ტერი (22)

შარლოტი: ვესლი (26), დევისი (19)

**კლივლენდი 103:109 ინდიანა**

კლივლენდი: ა. მილერი (20), პერსონი (20)

ინდიანა: ონილი (38), რ. მილერი (18)

**ნიუ ჯერსი 90:104 იუტა**

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (24), კიდი (17)

იუტა: მელოუნი (31)

**ჩიკაგო 74:95 მინესოტა**

ჩიკაგო: ფიზერი (25)

მინესოტა: შჩერბიაკი (19)

**დალასი 102:80 ორლანდო**

დალასი: ჰარდევეი (18)

ორლანდო: მილერი (20)

**ფინიქსი 102:90 პორტლენდი**

ფინიქსი: დელკი (27), მარბერი (22)

პორტლენდი: სტუდემაიერი (27)

**დენვერი 101:105 გოლდენ სტეიტი**

დენვერი: პოუზი (33), ლენარდი (18)

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (29), ფორტსონი (25 ქულა, 17 მოხსნა)

**სიეტლი 117:89 დეტროიტი**

სიეტლი: პეიტონი (20), ლუისი (18)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (18)

ორლანდოში დაბნეული მაიკლ ჯორდანი ნიუ იორკში „მედისონ სკვერ გარდენში" მოეგო გონს. მაიკლმა მისთვის ამ საყვარელ დარბაზში ვინ იცის, მერამდენედ გაიბრწყინა, მისმა 26 ქულამ კი „ვაშინგტონს" ზედიზედ მეცხრე გამარჯვება მოუპოვა.

მილუოკელმა რეი ალენმა ოთხწლიან კარიერაში პირველად გამოტოვა თამაში, მისმა გუნდმა კი „ჰიუსტონთან" წააგო, სწორედ იმ „ჰიუსტონთან", აქამდე ბოლო 15 შეხვედრაში რომ დამარცხებულიყო. ჰიუსტონელებმა „მილუოკის" 17 სამქულიანი ჩაუგდეს და კლუბის ყველა დროის რეკორდი დაამყარეს. ამ 17-დან შვიდი კუტინო მობლისაა, ექვსი — ვოლტ ვილიამსის.

23 დეკემბერი

**საკრამენტო 133:101 ფინიქსი**

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (26), თურქოღლუ (21)

ფინიქსი: დელკი (24), მარიონი (20)

**ბოსტონი 85:80 მემფისი**

ბოსტონი: უოლკერი (24), პირსი (20)

მემფისი: ბეტიე (22)

**სან ანტონიო 91:101 მილუოკი**

სან ანტონიო: დანკანი (22 ქულა, 18 მოხსნა), დ. რობინსონი (21), სმიტი (20)

მილუოკი: კასელი (33), გ. რობინსონი (30)

„მილუოკის" „სან ანტონიოსთანაც" აკლდა ალენი, მაგრამ მაინც იძალა. მისი მეტოქე ამ ბოლო 11 თამაშში პირველად დამარცხდა.

**ივანე ძოზიაშვილი**





ვილაცამ კი არა, „მაიამის" კალათს ტორონტოელმა ანტონიო დევისმა კინაღამ გადაუფრინა



პატ რაილის ბოლო დროს მძიმე საფიქრალი მიეძალა

# აქ შენ აღარავინ დაგიჩოქებს, პრეზიდენტო!

**ჩვეულებრივ,** პირიქით ხდება ხოლმე. ჩვეულებრივ, ის მიდის გუნდიდან, კლუბის ხელმძღვანელ-პერსონალი და უბრალო ქომაგები (კალათბურთელები ნაკლებად) დაჩოქილი ევედრებიან, ერთი-ორი წლით კიდევ დარჩი ჩვენთანო. „ლეიკერსიდან" და „ნიუ იორკიდან" მისი წასვლა ამ კლუბებისთვის ეპოქის დასასრული იყო. დღეს ეს კაცი „მაიამი ჰითის" მწვრთნელ-პრეზიდენტია. პატ რაილიზე მოგახსენებთ, კაცზე, რომლითაც მთელი ამერიკა ამაყობს. იგი არა მარტო კალათბურთში, არამედ მთლიანად სპორტის სათამაშო სახეობებში ერთ-ერთ უძლიერეს მწვრთნელად ითვლება.

პატ რაილი დიდი მწვრთნელია, მაგრამ მისი გუნდი აგებს, აგებს და კვლავ აგებს. ასეთი მასშტაბის და სახელის სპეციალისტს ბევრი ეპატიება და აკი პატიობენ კიდეც, რადგან კვლავაც წინ უძღვის „ჰითს" საკუთარი თეორია-იდეებით აღჭურვილი.

„წარმოდგენა არ მაქვს, როდის წავა. ამაზე ხეირიანად არც მიფიქრია" — ეს კლუბ „მაიამი ჰითის" მფლობელის, მიკი არისტონის სიტყვებია.

რაილის, რომელსაც გუნდის მეპატრონემ სრული თავისუფლება მიანიჭა, არც კლუბის ხელისუფლება ზღუდავს, რამეთუ იგი თავადაა ხელისუფლების მეთაური. ზემოთ რაილის წასვლაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა და აქვე განვმარტოთ — ჯერჯერობით იგი არსად მიდის, არც უშვებენ. უბრალოდ, გულშემატკივართა მხრიდან კანტიკუნტად (ჯერჯერობით) გაისმის მოთხოვნები მისი გადაყენების შესახებ.

ხალხმა იცის პატ რაილის ფასი. ნბა-ს ბარე ბევრი გუნდის ქომაგი ისურვებდა, მწვრთნელს მის მშობლიურ ქალაქში ემუშავა, მაგრამ იმავე ხალხს, პირველ ყოვლისა, სიამოვნება სწყურია. სიამოვნება კი იშვიათად მოაქვს ბევრ წაგებულ თამაშს.

„არ ვიტყვი, რომ „მაიამი" ცუდი გუნდია. „ჰითი" გამართულ კალათბურთს თამაშობს და თითქმის ყველაფერს სწორად აკეთებს. მთავარი პრობლემა შემსრულებლების არყოლაა. ძნელია, ჯეისონ კიდს და „ნიუ ჯერსის" ენტონი კარტერით უფრო წარმატებით ეთამაშო, ვიდრე ტიმ ჰარდევეით. კარტერი ურიგო მოთამაშე არაა, კარგი სათადარიგოა, მაგრამ ამბიციურ გუნდში მისი სასტარტო ხუთეულში დაყენება, მე მგონი, შეცდომაა" — თავის აზრს გამოთქვამს ტელეარხ ESPN-ის წამყვანი ჯეკ რამზი. მას ბევრი უკრავს კვერს.

და კვლავ ჯეკ რამზი: „აღმოსავლეთში თითქმის ყველა გუნდს ჰყავს მოძრავი ბიჭები 2-3 პოზიციაზე (მსროლელი, ფრთა). რაილის კარგ შემტევს კარგი დამცველი ურჩევნია. ეს მისი სტილია და სამ ნომრად დაცვის სპეციალისტი ბრიუს ბოუენი ჰყავდა. წლეულს ბრიუსის ნაცვლად ხეირიანი არავინ მოუყვანია. არ მესმის, როგორ შეიძლება, ტანგ ჰამილტონი დაუპირისპირო ვინს კარტერს, პოლ პირსსა და ტრეისი მაკგრეიდის, ეს ბიჭები ხომ უარეს შემთხვევაში 25-30 ქულას ჩააგდებენ. „მაიამის" ვერანაირი დაცვა ვერ უშველის".

„ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ „ჰითს" დაცვაში პრობლემები არა აქვს. მის კალათში 90 ქულას იშვიათად თუ აგდებს ვინმე, ასს კი — თითქმის არავინ. მაგრამ მარტო ყრუ დაცვა ვერ გიშველის, ჩაჭრილ ბურთს ჩაგდება უნდა. გარდა იმისა, რომ „ჰითს" შემსრულებლები აკლია, ამ გუნდს შეტევაში ფანტაზია ღალატობს, რადგან კალათბურთელები დაცვაში თამაშით იფიტებიან და მეტოქის ნახევარზე თავისუფლად აზროვნება უჭირთ" — ამბობს „მაიამი ჰერალდის" საკალათბურთო მიმომხილველი ბარი ჯეკსონი.

იქნებ ყველაფერი პატ მასწავლებლის ასაკის ბრალია? ის 59 წლისაა და ბოლო დროს ხშირად ცდება. ჟურნალისტები კი მისი შეცდომების ჩამოთვლას მიეჩვივნენ და ყველაზე ხშირად ენტონი კარტერს ახსენებენ. წინა სეზონის პლეიოფში „შარლოტთან" 0:3 განადგურებიდან ორიოდ დღე იყო გასული, რომ რაილიმ პირდაპირ შოკში ჩააგდო მასმედიის წარმომადგენლები, როდესაც პრესკონფერენციაზე განაცხადა, მომდევნო სეზონში „ჰითის" სასტარტო ხუთეულში კარტერის დაყენებას სერიოზულად ვაპირებ და ამ ბიჭის დიდი იმედიც მაქვსო. ეს მაშინ, როდესაც „მაიამი" — „შარლოტის" სერიაში ყველაზე მეტად სწორედ ამ ჯეელმა შეირცხვინა თავი. ძირითად გამთამაშებელ ტიმ ჰარდევეის ტრავმები აწუხებდა, მის შემცვლელ კარტერს კი ოპონენტმა ბაირონ დევისმა ისეთი დღე აყარა, ბევრმა იფიქრა, რომ მას კალათბურთის ხალისი სამუდამოდ გაუქრებოდა. ძირითადად მის გამო „ჰითმა" იმ სერიის ორი შინაური მატჩი 26-26 ქულით წააგო და შარლოტშიც ვეღარაფერი მოახერხა.

რაილი თავის შეცდომებს ხვდება და მათ გამოსწორებასაც ცდილობს. „დღეისთვის მე მზად ვარ ნებისმიერი წინადადების მოსასმენად" — აცხადებს პატი. იგი თავის შეგირდთა შესაძლო გაცვლებს გულისხმობს. იმასაც ამბობს, ხელშეუხებელი არავინაა. პირველ ყოვლისა, რაილი ყველა ღონეს იხმარს, ხეირიანი გამთამაშებელი რომ იშოვოს და არც კარგ მექულეზე იტყვის უარს. სანაცვლოდ ნებისმიერ მოთამაშეს შეელევა და ეს შესაძლოა „მაიამის" ქართველი ცენტრი ვოვა სტეფანიაც იყოს. რაილი უნდა შეეცადოს, რაც შეიძლება მალე გაჩარხოს ხმაურიანი და მომგებიანი გაცვლა, თორემ... ქომაგებს არ უყვართ, როცა მათი ჯილა აგებს, აგებს და კვლავ აგებს.

**ირაკლი ფირუაშვილი**

# „დინამო“

## ახალმა პატრონ-შეფმა ხელი ისტორიის კალათში ჩაჰყო

დრო, „დინამოს“ რომ უჭირდა, მწვრთნელ-მოთამაშეები თვეობით გასამრჯელოს ვერ იღებდნენ, გუნდი წლიდან წლამდე ექვსეულს მიღმა იყო ჩაკარგული, წარსულს ჩაბარდა. ერთ დროს ევროპის უმაღლეს კვარცხლბეკზე მდგარ კლუბს გამოცოცხლება დაეტყო. სადაც ფეხბურთელები, იქაც კალათბურთელებიო და კომპანია „სპორტ უორლდ პარტნერშიფს“ დოლარები ლევან მოსეშვილის გუნდისთვისაც გაუწვდია.

სეზონის წინ „დინამოში“ ცხრა კალათბურთელი მივიდა. ტენდენცია არც პირველი წრის შემდეგ შეიცვალა: „დინამოს“ სამი შემატებული ჰყავს. გუნდის პრეზიდენტთან, უახლოეს წარსულში დინამოელთან, ბაჩო სხიერელთან საუბარი სწორედ ახალწვეულებით დავიწყეთ.



„დინამოს“ პრეზიდენტი ბაჩო სხიერელი სულ ახლახან დინამოელი იყო

— ახლა ბაკურიანში ვართ, გუნდი ფიზიკურად ემზადება. ჩვენთან ერთად სამი ახალწვეულია: აზოტელები — არჩილ ელენტი, ირაკლი ჯაფარიძე და მაკაბელი გოჩა წოწელია.

**— კონტრაქტი სამივესთან გააფორმეთ?**

— ელენტთან და ჯაფარიძესთან გავაფორმეთ, წოწელიასთან — არა. მას ჯერაც „მაკაბისთან“ აქვს ხელშეკრულება, თუმც ახლა ჩვენთან თამაში სურს. „მაკაბისთან“ თვითონ წოწელია გაარკვევს ურთიერთობას. ვფიქრობ, მასთან კონტრაქტს მალე გავაფორმებთ. როგორც იქნა, დაადგა საშველი „დინამოს“ აღორძინებას და არა მგონია, „მაკაბის“ მწვრთნელი ჯამლეთ ხუხაშვილი ამ პროცესს წინ აღუდგეს.

**— „დინამოს“ აღორძინებაო, თქვით. არცთუ დიდი ხნის წინ თქვენს გუნდს ძალიან უჭირდა, ახლა კი ერთბაშად ამდენი ძლიერი ახალწვეული გყავთ. რის შემდეგ შეიცვალა ვითარება?**

— მას შემდეგ, რაც ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გახდა. ფეხბურთელებთან ერთად ამ ორგანიზაციამ ჩვენც მოგვხედა. სექტემბრის ბოლოს თარგამაძემ თვითონ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი და როგორც პირველ წრეში გამოჩნდა, გუნდი ფეხზე დადგა.

**— კი მაგრამ, ახლა როგორი სიტუაციაა, საფეხბურთო „დინამოს“ ხომ ახალი მეპატრონე ჰყავს?**

— ისევე, როგორც ფეხბურთელებს, ჩვენც „სპორტ უორლდ პარტნერშიფი“ დაგვაფინანსებს. ამაზე უკვე იყო საუბარი და გადაწყდა, რომ 16 იანვრიდან „უორლდ სპორტ პარტნერშიფი“ ჩვენს ფინანსურ უზრუნველყოფას იკისრებს.

**— აქამდე რის ხარჯზე მოიყვანეთ გუნდში ახალწვეულები?**

— მართალია, „დინამო“ ოქტომბერში გაიყიდა, მაგრამ ჩვენს გუნდს მას შემდეგაც კახა თარგამაძე პატრონობდა. შეთანხმება 17 დეკემბრამდე გვქონდა. ახლა კი, 16 იანვრიდან საბოლოოდ ახალი კომპანიის მეურვეობაში გადავდივართ.

**— ფეხბურთელების ერთ-ერთი მეპატრონე ბადრი პატარკაციშვილია. ამ ბიზნესმენს თქვენთანაც ხომ არ ექნება ურთიერთობა?**

— ცხადია. საფეხბურთოსთან ერთად პატარკაციშვილი საკალათბურთო „დინამოსაც“ დააფინანსებს.

**— კიდევ ვინმეს შემატებას ხომ არ აპირებთ?**

— ფედერაცია განაცხადში 19 კალათბურთელზე მეტის შეყვანას კრძალავს. ჩვენ ეს ლიმიტი ამოვწურეთ. პირველ წრეში 17 მოთამაშე გვყავდა. ერთი გამოგვაკლდა და ახლა სამი მოვიყვანეთ. მეორე წრისთვის აღარავის დავიმატებთ.

**— ვინ გამოგაკლდათ?**

— გიორგი ჩავლეიშვილი სასწავლებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. სწავლასთან ერთად, ცხადია, თავისი სასწავლებლის კალათბურთის გუნდშიც ითამაშებს, რაც მის სათამაშო კლასს ერთიორად გაზრდის.

**— უეჭველია, ასეთი ძლიერი შემადგენლობით ჩემპიონობისთვის იბრძოლებთ...**

— ვეცდებით.

**ირაკლი ბერტაია**

# ჩემო ცინცინატელო

## საქმისთვის ასე აჯობებს: რუსი წავიდეს, ამერიკელი მოვიდეს



ჯეფრი როჯერსი ისევ ბათუმისკენ მოემურება

**არაერთის** აზრით შარშანდელი სეზონის საუკეთესო კალათბურთელი, ამერიკელი ჯეფრი როჯერსი კვლავ საქართველოს ჩემპიონატს უბრუნდება. „ბასკოს“ შავკანიანმა გამთამაშებელმა მეათე ეროვნულში გულშემატკივარს თავი უზუსტესი, სწრაფი და გამოზომილი პასებით დაამახსოვრა. როჯერსი ჩინებულად უძლვებოდა ჩემპიონთა შეტევებს, ჭკვიანურად ათამაშებდა ბურთს, სწრაფ და მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელ გადაწყვეტილებებს იღებდა, ამასთან, მიზანიც იშვიათად ღალატობდა, რაც ბათუმელთა წარმატების უპირველესი საწინდარი იყო.

„ბასკომ“ როჯერსი მეთერთმეტე ჩემპიონატის განაცხადშიც შეიყვანა, თუმცა იგი ჯერაც არ გამოჩენილა ბათუმელთა შემადგენლობაში. კლუბის ხელმძღვანელობა სეზონის წინ აცხადებდა, ამერიკელს მეორე წრიდან დავიმატებთო, მაგრამ ზოგიერთს ამის არ სჯეროდა, ასეთი დონის კალათბურთელი ჩვენს ჩემპიონატს აღარ იკადრებსო. და აი, როჯერსი მოდის. „ახლა ჯეფრი ამერიკაში, მშობლიურ ცინცინატიშია. ამ თვის ბოლოს იგი ბათუმში ჩამოვა და „ბასკოს“ შეუერთდება. ეს უკვე გადაწყვეტილი საქმეა. როჯერსს ბილეთი 29 დეკემბრისთვის აქვს დაჯავშნული“ — გვითხრა „ბასკოს“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა.

ბათუმელებს ლეგიონერი კი ემატებათ, მაგრამ უწინდელივით სამი უცხოელით მოუწევთ თამაში. რუსი ფიორდორ სლიშალოვი სამშობლოს გზას გაუყენეს. რუსი ლეგიონერი აშკარად ვერ შეეწყო გუნდს. პირველ წრეში იგი „ბასკოს“ შემადგენლობაში რამდენჯერმე, ისიც მცირე ხნით გამოჩნდა. „სლიშალოვმა ვერ გაამართლა მასზე გაცემული ავანსები. იგი გუნდს ვერ მოერგო და გადავწყვიტეთ, გუნდიდან გაგვეშვა. მით უმეტეს, რომ მეორე წრიდან მისი ამპლუის ჯეფრი როჯერსი შეგვემატება“ — გვამცნო ნუგზარ კანდელაკმა.

**ირაკლი ბერტაია**

# ბასკომ ნედლი NEBL-ი კარგად დაიწყო

**გეხსომებათ,** ბათუმის „ბასკო“ შარშან NEBL-ის ტურნირში მონაწილეობდა. პირველ ეტაპზე შინ თავი ისახელა, მაგრამ მომდევნოში ძალები თუ კლასი აღარ ეყო. წლეულს კი ბათუმის კლუბი განზე გადგა და ევროპისკენ გზა თავის ახალგაზრდულ გუნდს დაუთმო. „ბასკოს“ 1985 წელს დაბადებულთა გუნდს რომ NEBL-ის ახალგაზრდულ ტურნირში უნდა მიეღო მონაწილეობა, აგვისტოში ვწერდით, ახლა კი მათი წარმატების შესახებ გამცნობთ.

სანკტ პეტერბურგში 13-დან 17 დეკემბრამდე NEBL-ის ახალგაზრდული ტურნირის პირველი ეტაპი გაიმართა. „ბასკოს“ გარდა იქ კიდევ ხუთმა გუნდმა მოიყარა თავი: ესტონელი ოლიმპიური ჩემპიონის ტიიტ სოკის, ლატვიის სამმა და პოლონეთის ერთმა საკალათბურთო სკოლების გუნდებმა. ქართველებმა ყველა შეხვედრაში იმარჯვეს და ფინალური ტურნირისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს. ბათუმელთა რიგებში უფროსი „ბასკოს“ ხუთი კალათბურთელი გამოდიოდა, ერთი მათგანი მანუჩარ მარკოიშვილი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს. ჩატენვების ტურნირის ფინალიც ქართული გამოდგა. მანუჩარ მარკოიშვილმა დავით იმნაძეს აჯობა და კიდევ ერთი პრიზი დაიმსახურა. მათ გარდა საქართველოს ჩემპიონის შემადგენლობიდან სანკტ პეტერბურგში სერგო ათუაშვილი, ირაკლი საყვარელიძე და ნიკა ჩხარტიშვილი იმყოფებოდნენ.

მომდევნო ეტაპი ესტონეთში თებერვლის შუა რიცხვებში გაიმართება, შემდგომი კი ბელარუსში და ტურნირში მონაწილე თექვსმეტი გუნდიდან 6 საუკეთესო შეირჩევა. მოსკოვში ცსკას დარბაზში ფინალურ ტურნირს სწორედ ისინი ითამაშებენ.

**ირაკლი ბერტაია**


"მაგთი GSM"
2001 წლის 30 დეკემბერს
ზ. ფალიაშვილის სახ. "ოპერისა და ბალეტის" სახელმწიფო აკადემიურ თეატრში
წარმოგიდგენთ: ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოვების ცერემონიას "რაინდები".
ორგანიზატორები:
"საქართველოს ტელე-რადიო კორპორაცია",
სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, შ.პ.ს. "ვერიტა".
საინფორმაციო მხარდაჭერა:
სარბიელი
ოლიმპი
გენერალური სპონსორი
მაგთი MAGTI GSM
დას. 18.00 სთ-ზე.


## ანკეტა

დამოუკიდებელი საქართველოს, ყველაზე პოპულარული სპორტის ათი სახეობა, ათი საუკეთესო სპორტსმენი.

| სახეობები: | სპორტსმენები: |
|---|---|
| 1. | 1. |
| 2. | 2. |
| 3. | 3. |
| 4. | 4. |
| 5. | 5. |
| 6. | 6. |
| 7. | 7. |
| 8. | 8. |
| 9. | 9. |
| 10. | 10. |

ათწლეულის საუკეთესო გუნდი:

გვარი
სახელი
ასაკი

საკონტაქტო ტელეფონი: 99 56 14
მობ: 8 99 17 84 44
E-mail: gazeti_lelo@hotmail.com


**შიტორიუ კარატე-დო კოფუკანის კლუბი „სოდანი“**

**აცხადებს გოგონებისა და ვაჟების მიღებას 7-დან 16 წლამდე.**

**ვარჯიშებს გაუძღვებიან მაღალკვალიფიციური, I და III დანის ინსტრუქტორები.**

ტარდება შეჯიბრებები საქართველოშიც და უცხოეთშიც, ასევე ეწყობა ქამრის (ხარისხის) მისანიჭებელი გამოცდები და გაიცემა სერთიფიკატი. ამ კლუბში გაიზარდნენ მსოფლიო და ევროპის პრიზიორები და საქართველოს მრავალი გზის ჩემპიონები ყოველ წელს თბილისში ჩამოდის იაპონიის კარატე-დო კოფუკანის ფედერაციის პრეზიდენტი, VII დანის მფლობელი **კოჯი ტომიამა** რომელიც ატარებს სემინარებს და გამოცდებს.

**გთხოვთ, მობრძანდით**



**ვარჯიშები ტარდება:**

**მე-60 საშუალო სკოლაში**

**ორშაბათს, ხუთშაბათს** საღამოს 18 - 20, საათი **შაბათს** 13 - 15 საათი.

მეტრო **ელექტრო დეპოსთან** ტრიკოტაჟის ფაბრიკის ტერიტორიაზე

**ორშაბათი, ოთხშაბათი პარასკევი** საღამოს 16 - 18 საათი

ცნობებისათვის დარეკეთ 69-78-55 **მალხაზ ჩუმბურიძე**





**ბილიარდის კლუბ „პირამიდა +“-ში**



(ამერიკის საელჩოს გვერდით)

ამა წლის 27 დეკემბერს, 12 საათზე

იმართება ჟურნალისტთა ტურნირი ბილიარდსა და დარტსში.

ინფორმაციისთვის და აკრედიტაციისთვის დარეკეთ: 877 43-21-16

# დროის ფორმულა

## მამა იხსენებს იმას, რასაც შვილი იწყებს

FIA FORMULA 1

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნიკი ლაუდა ორი კვირის მერე ისევ მიუჯდება ფორმულა I-ის ბოლიდის საჭეს. ცხადია, ეს დროებითი, ერთჯერადი ღონისძიებაა და სულაც არ ნიშნავს, რომ ლეგენდარული ავსტრიელი სამეფო რბოლებში დაბრუნებას აპირებს.

საქმე კი ასეა: 52 წლის ლაუდა ერთ-ერთი საფორმულო საჯინიბო „იაგუარის" მეპატრონეთაგანი გახლავთ. ჰოდა, რა გასაკვირია, თუკი 2002 წლის სეზონისთვის მზადების პროგრამით ახალი ბოლიდის გამოცდა გადაწყვიტა. შეფს იმედი აქვს, რომ ერთდღიანი გაჯირითებით თავად უკეთესად შეიგრძნობს ახალი მანქანის ავ-კარგს, ვიდრე ტესტ-მძღოლების მონაყოლით. სენსაციის მქექავ ჟურნალისტებს ნიკიმ ისიც გაუმხილა, რასაკვირველია, ხუმრობით, რომ ამით „იაგუარის" საპრიზო პილოტებს — ედი ირვინსა და პედრო დე ლა როსას არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ და შეფი სულაც არ აპირებს თავისი ქვეშევრდომების უმუშევრად დატოვებას: „უბრალოდ, მინდა უკეთესად შევიგრძნო, როგორ ფუნქციონირებს მანქანა. მე მხოლოდ რამდენიმე ტექნიკური დეტალის დაზუსტება მაინტერესებს".



ნიკი ლაუდა

ახალი „იაგუარის" პრეზენტაცია 4 იანვარს შედგება.

ამასობაში, ლაუდასთან დაკავშირებით ერთი ახალი ცნობაც გავრცელდა: ნიკის 20 წლის ვაჟი მატიასი გაისად ფორმულა 3-ში იასპარეზებს. ლაუდა-უმცროსი უკვე ექვსი წელია, ბარსელონაში ცხოვრობს და ახლო მომავალში უმაღლესი ფორმულის ბოლიდის პილოტირებაზე ოცნებობს.

**გია ახალაძე**



# ცოტა ტყემალი და ცეცხლი

**ახლა**, როდესაც საყოველთაო ყურადღება მოახლოებული ზამთრის ოლიმპიადისკენაა მიპყრობილი, სოლტ ლეიკის სიტის მცხოვრებთა საუბრის ძირითადი თემა ზამთრის თამაშები კი არა, საკალათბურთო გუნდ „იუტა ჯაზისა" და ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის მატჩებია. ბუნებრივია, ხალხს ის პრობლემებიც აწუხებს, რომლებიც 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ წარმოიშვა.

„ტერაქტების შემდეგ თამაშები სოლტ ლეიკ სიტიში მეორეხარისხოვანი გახდა. ხალხი დეპრესიაშია და შესაძლოა ოლიმპიადამდე ვერც გამოვიდეს სტრესული მდგომარეობიდან. მათ სჯერათ, რომ ოლიმპიადა გაიმართება, როგორც ეს ჩაფიქრებული იყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ საკუთარი უსაფრთხოება ანაღვლებთ. იქნებ მათ გამოცოცხლება მაშინ მაინც დაეტყოთ, როდესაც ქალაქში ოლიმპიური ცეცხლი შეაბიჯებს" — წერს ადგილობრივი „ტრიბუნის" სპორტული ჟურნალისტი ჰოლი მიულენი.

მიულენის აზრი განავრცო „სოლტ ლეიკ სიტი ტრიბუნის" ოლიმპიურ სიახლეთა რედაქტორმა ტერი ორმა: „ვფიქრობ, პრობლემა ისაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის ზამთრის ოლიმპიადა ზედმეტად ეგზოტიკურია. მათ არაფერი გაეგებათ საციგაო სპორტის, ქერლინგისა თუ ბიატლონისა. ბევრს ჰერმან მაიერის შესახებ არაფერი სმენია. ესეც რომ არა, ძალიან თბილი შემოდგომა გვქონდა. სულ რაღაც რამდენიმე კვირის წინ ხალხი გოლფით იქცევდა თავს, ამიტომ ბუნებრივია ზამთრის სახეობებისადმი მათი გულგრილობა".

# გამარჯობა, ავღანეთო, შენი

**ოლიმპიური** მოძრაობიდან მოკვეთილი ავღანეთი მალე, ალბათ ისევ დაუბრუნდება დიდ ოლიმპიურ ოჯახს. ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საამისო ნაბიჯი გადადგა. სოკ-ის პრეზიდენტის, ჟაკ როგის თქმით, როგორც კი ქაბულში მშვიდობა დაისადგურებს და მთავრობა ჩამოყალიბდება, იგი ავღანეთში ოლიმპიურ ამალას მიავლენს.

ავღანეთის ეოკ-სა და სოკ-ს შორის ურთიერთობა მაშინ გაწყდა, როდესაც ქვეყანას სათავეში თალიბები ჩაუდგნენ.

ახლა, როდესაც თალიბთა რეჟიმი დაამხეს, ოლიმპიზმის მამები იმედოვნებენ, რომ ავღანეთი ნდობასა და პატივს დაიბრუნებს. „თუ ყველაფერი ჯეროვნად წარიმართა, მაშინ რა აჯობებს ავღანელ სპორტსმენთა ათენში ხილვას. ავღანეთი დღეს ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც 200 ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისგან შემდგარი ოლიმპიური ოჯახის წევრი არა არის. ჩინებული იქნება, თუ ათენში ყველა კომიტეტი მოიყრის თავს" — ამბობს როგი.

**გიგა გურასაშვილი**


რესტორანი მზიანი ღამე







განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

21 დეკემბერი

**ანაჰაიმი 2:1 ფინიქსი (2:1 0:0 0:0)**
1:0 კარია (7), 2:0 კალენი (10), 2:1 დოუმი (19)

**კოლორადო 2:2 კალგარი (0:1 1:0 1:1 0:0)**
0:1 უილმი (17), 1:1 ტრეპანიე (24), 2:1 ბლეიკი (55), 2:2 ნიდერმაიერი (58)

**ჩიკაგო 5:1 ედმონტონი (1:0 3:1 1:0)**
1:0 მაუსლი (1), 1:1 მორო (21), 2:1 ჟამნოვი (32), 3:1 კლემი (32), 4:1 კოროლიოვი (39), 5:1 კოროლიოვი (57)

**ტამპა 4:3 სენტ ლუისი (1:0 1:1 1:2 1:0)**
1:0 ლეკავალიე (14), 2:0 მოდინი (37), 2:1 სტილმანი (40), 2:2 სალვადორი (49), 2:3 მელანბი (52), 3:3 მოდინი (58), 4:3 ლეკავალიე (64)

**პიტსბურგი 4:3 ვაშინგტონი (0:0 3:1 1:2)**
0:1 საიმონი (29), 1:1 კასპარაიტისი (33), 2:1 ფერენსი (35), 3:1 პეტერსენი (40), 4:1 მრდინა (41), 4:2 ბონდრა (50), 4:3 გონჩარი (53)

**ბუფალო 3:3 ტორონტო (0:1 2:0 1:2 0:0)**
0:1 ლუმე (9), 1:1 აფინოგენოვი (28), 2:1 კონოლი (33), 2:2 ტაკერი (43), 2:3 რაიხელი (48), 3:3 კოზლოვი (54)

**დეტროიტი 3:0 სან ხოსე (0:0 2:0 1:0)**
1:0 დრეიპერი (31), 2:0 აიზერმანი (32), 3:0 მალი (57)

**რეინჯერსი 1:2 აილენდერსი (1:2 0:0 0:0)**
0:1 ლინდგრენი (2), 1:1 ლინდროსი (3), 1:2 პეკა (16)

**კაროლინა 5:4 ატლანტა (2:1 1:1 1:2 1:0)**
1:0 ქელინა (3), 2:0 ბრინდამორი (6), 2:1 კარლსონი (12), 3:1 კოული (31), 3:2 დომენიჩელი (39), 4:2 კოული (49), 4:3 მორდიჩუკი (53), 4:4 ბარტეჩკო (58), 5:4 კოული (62)

22 დეკემბერი

**ნიუ ჯერსი 0:1 ოტავა (0:0 0:1 0:0)**
0:1 ფიშერი (30)

**აილენდერსი 2:4 ბოსტონი (0:0 1:3 1:1)**
1:0 ბეიტსი (21), 1:1 ზამუნერი (23), 1:2 მიურეი (26), 1:3 როლსტონი (28), 1:4 ტორნტონი (45), 2:4 მამრლიკი (49)

**ფილადელფია 4:3 კაროლინა (1:1 1:1 1:1 1:0)**
1:0 რეკი (2), 1:1 მილი (15), 2:1 განიე (21), 2:2 ლენგდონი (35), 2:3 კაპანენი (44), 3:3 რენიკი (53), 4:3 რეკი (61)

**მონრეალი 2:1 ლოს ანჯელესი (1:0 0:1 1:0)**
1:0 ეშამი (17), 1:1 ემერსონი (28), 2:1 პერო (57)

**ტორონტო 3:2 ბუფალო (1:2 2:0 0:0)**
1:0 მოგილნი (9), 1:1 პატრიკი (14), 1:2 ურინერი (15), 2:2 გრინი (32), 3:2 რობერტსი (40)

**კოლუმბუსი 2:4 დალასი (1:2 1:1 0:1)**
0:1 სიმი (2), 1:1 ობენი (15), 1:2 კამენსკი (19), 2:2 კნუტსენი (25), 2:3 მატრიჩუკი (37), 2:4 მოდანო (60)

**ვაშინგტონი 4:4 პიტსბურგი (0:2 2:2 2:0 0:0)**
0:1 ლანგი (17), 0:2 რიშე (17), 1:2 იაგრი (21), 1:3 ბიჩი (34), 1:4 კოვალიოვი (37), 2:4 ოუტსი (39), 3:4 საიმონი (55), 4:4 ბონდრა (60)

**ფლორიდა 0:2 სენტ ლუისი (0:0 0:0 0:2)**
0:1 ტკაჩუკი (45), 0:2 სტილმანი (47)

**ვანკუვერი 1:2 მინესოტა (0:0 1:1 0:1)**
0:1 ჟოლტოკი (24), 1:1 მ. სედინი (28), 1:2 ულცი (56)

23 დეკემბერი

**რეინჯერსი 3:2 ოტავა (1:1 1:0 1:1)**
0:1 ხარა (14), 1:1 ფლერი (15), 2:1 ფლერი (32), 2:2 რედენი (53), 3:2 ნედვედი (59)

**ნეშვილი 1:1 სან ხოსე (0:1 0:0 1:0 0:0)**
0:1 ნოლანი (7), 1:1 ტენკრატი (60)

**ატლანტა 1:4 დალასი (0:1 1:0 0:3)**
0:1 ზუბოვი (18), 1:1 კალიო (23), 1:2 ვერბიკი (41), 1:3 მიულერი (45), 1:4 ლანგენბრუნერი (50)

**ჩიკაგო 0:5 დეტროიტი (0:2 0:3 0:0)**
0:1 შენაჰანი (14), 0:2 ჩელიოსი (20), 0:3 რობიტაილი (25), 0:4 მალი (30), 0:5 ლარიონოვი (51)

**ფინიქსი 0:4 ანაჰაიმი (0:3 0:1 0:0)**
0:1 მაკდონალდსი (13), 0:2 ლამბერტი (13), 0:3 შუინარი (14), 0:4 კარია (22)

**კოლორადო 6:3 მინესოტა (2:1 2:0 2:2)**
0:1 დაუდი (10), 1:1 უილსი (12), 2:1 ტანგეი (16), 3:1 მეიდუკი (24), 4:1 მესიე (39), 5:1 დევრიზი (44), 6:1 უილსი (51), 6:2 ბრიუნეტი (52), 6:3 გეივი (57)


REUTERS ნიუ ჯერსიდან

ნიუჯერსელმა ჯონ მედენმა (№11) ოტაველი მაიკ ფიშერი კისრულით წამოიღო

# ფორსბერგმა ნამუსს ექვსი ნული არ მიუწერა

**პროფესიონალ** სპორტსმენთა გასამრჯელოების რაოდენობა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს ქომაგთა შორის. აგერ, თუნდაც ნიკლას ლიდსტრიომისა, რომელმაც ამ დღეებში ახალი კონტრაქტი გააფორმა. ამით მან ძვირადღირებულ ჰოკეისტთა სიაში მეორე ათეულის ბოლოდან აინაცვლა პირდაპირ მეორე ადგილზე, რომელსაც მასთან ერთად ანაჰაიმელი პოლ კარია და ფლორიდელი პაველ ბურე იყოფენ. ლიდსტრიომი წელიწადში 10 მილიონ დოლარს მიიღებს. პირველ ადგილზე კი მცირე უპირატესობით ვაშინგტონელი იარომირ იაგრია. იგი მხოლოდ 33 333 დოლარით უსწრებს მდევარ სამეულს. ისე, ჩეხს, ისევე როგორც ბურეს და კარიას, წლეულს საქმე არცთუ კარგად მისდის.

მეხუთეა კოლორადოს კაპიტანი ჯო საკიკი, რომლის ხელფასიც სადღეისოდ 9 832 727 დოლარს შეადგენს.

რეინჯერსში წლეულს გადაულ ერიკ ლინდროსს, კონტრაქტის თანახმად, ოთხ წელიწადში 38 მილიონი, ანუ წელიწადში 9,5 მილიონი ეკუთვნის, მაგრამ იგი მთლიანად ამ თანხას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ჯანმრთელად იქნება.

ამდენივეს უხდიან სენტლუისელ კრის პრონგერს. 9 მილიონი და მეტი კიდევ სამ ჰოკეისტს ერგება: კოლორადოელ რობ ბლეიკს — 9, 3 და ფილადელფიელ ჯონ ლეკლერს და სენტლუისელ დუგ უეიტს — ზუსტად 9-9. აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ათეულში შვიდი ფორვარდი და სამი მცველი შედის.

მეკარეთა შორის კი ყველაზე მდიდარი პატრიკ რუა გახლავთ. იგი ფილადელფიელ ჯერემი რენიკთან ერთად მე-11 ადგილს იყოფს — 8,5 მილიონი.

სენტლუისელი კეიტ ტკაჩუკის გასამრჯელო 8,3 მილიონი დოლარია, ხოლო სანხოსელი ტეემუ სელიანე, დალასელი მაიკ მოდანო და დეტროიტელი დომინიკ ჰაშეკი წლეულს 8-8 მილიონს ჩაიჯიბავენ.

ოცეულში ბოლო ადგილზეა ალექსეი იაშინი. აწ უკვე აილენდერსელი ჰოკეისტის ხელფასი 6,55 მილიონს შეადგენს.

ნჰლ-ის კლუბების განაცხადში შეყვანილი 790 ჰოკეისტისგან 325 1 მილიონზე მეტს იღებს.

აქედან თითქმის 40-ს 5,5 ან მეტი აქვს, ხოლო ლიგის საშუალო ყოველწლიური ხელფასი 1,4 მილიონია.

ალბათ საინტერესო იქნება ჰოკეისტთა გასამრჯელოების სხვა პროფესიულ სახეობებთან შედარება. მაგალითისთვის კალათბურთი ავიღოთ. იაგრისა და კომპანიის მაქსიმალურ ხელფასზე მეტს NBA-ში კლივლენდელი ჟიდრუნას ილგაუსკასი და ფინიქსელიი სტივენ მარბერი იღებენ. მიუხედავად ამ სპორტსმენებისადმი პატივისცემისა, დაგვეთანხმებით, ისინი NBA-ს ელიტას არ წარმოადგენენ. ყველაზე მდიდარი კი კალათბურთელთა შორის, ცხადია, შაკილ ონილია. „შაკს" წელიწადში 32 მილიონს უხდიან.

ალბათ, გაგიკვირდებათ, რატომ არ არის მაღალანაზღაურებად ჰოკეისტთა სიაში კოლორადოს ვარსკვლავი პეტერ ფორსბერგი. შვედს წლეულს ყველაზე მეტი, 11 მილიონი ეკუთვნოდა. ფორსბერგი პლეი ოფში დაშავდა და შეეძლო, თავი არ აეტკივებინა, მშვიდად მოერჩინა ტრავმა და სადღაც იანვარ-თებერვალში გუნდში დაბრუნებულიყო, მაგრამ იგი სხვაგვარად მოიქცა. სეზონის წინ განაცხადა, რომ გაურკვეველი ვადით წყვეტს კარიერას და შესაბამისად ფულის მიღებაზეც უარი თქვა. ბოლო ხანს პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ თითქოს ფორსბერგი ოლიმპიადამდე დაბრუნდებოდა, მაგრამ შემდეგ ეს ცნობა მისმა მამამ, კენტ ფორსბერგმა უარყო.



იარომირ იაგრი

**სამველ ლარიბიანი**



# კიდევ ფრანგი?! კაცები [illegible]ლდნენ, ქალები [illegible] ასცდნენ

**ჰერმან მაიერის** არყოფნისა თუ სხვა რამ მიზეზით წლევანდელ მსოფლიოს თასზე ავსტრიელები უპირობოდ ვერ დომინირებენ. ეტაპებს იგებენ გერმანელები (მათ ადრეც არა უშავდათ), ფრანგები, ამერიკელები და, მართალია, საერთო ჩათვლას ჯერ კიდევ ავსტრიელი ებერჰარტერი ლიდერობს, მომდევნო პოზიციები ერთობ აჭრელდა — ამერიკელი, შვეიცარიელი, ფრანგი, ნორვეგიელი და ასე შემდეგ... ვერა, ვერ არიან წლეულს ავსტრიელები თავიანთ სიმაღლეზე, თუმცა უქმეების ერთი ეტაპის მომგები მაინც მათგანია. ბენიამინ რაიხმა გიგანტურ სლალომში დაძლია ბოდე მილერის და დიდიე რუშეს მძლავრი კონკურენცია და პირველი ადგილი დაიკავა. იმ დღეს მილერი თითქმის უშეცდომო იყო. თუმც ახალგაზრდა რაიხი სრიალებდა უმაღლეს პროფესიულ დონეზე და სეზონის აღმოჩენა ამერიკელს მცირე უზუსტობანიც არ აპატია. დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად მოიწონა რაიხის მიღწევა, ხოლო საზოგადოება, უნდა გითხრათ, ფრიად მაღალი იყო. სლოვენიურ კრანსკა გორას, სადაც ეტაპი შედგა, სლოვენიის პრეზიდენტი მილან კუჩანი ეწვია და თავად მასპინძლობდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტებს, ჟაკ როგსა და ჯან ფრანკო კასპარს. იგულისხმება, რომ მათ ირგვლივ უფრო წვრილფეხა ჩინოვნიკების ტევა არ იყო, თან აურაცხელმა მაყურებელმაც მოიყარა თავი. მოკლედ, სლოვენიის კურორტზე დიდი გამოცოცხლება იყო.


REUTERS კრანსკა გორიდან

ჟან პიერ ვიდალი

„მე ხვალ გავიმარჯვებ, დიდი შანსი მაქვს" — იხტიბარს არ იტეხდა მილერი ჟურნალისტებთან საუბარში. მან სლალომის ეტაპი იგულისხმა, დისციპლინა, რომელშიც წლეულს ერთი ეტაპი უკვე მოიგო, თუმც შაბათს მილერს მხოლოდ გაწბილება ელოდა. პირველი სრიალის შემდეგ მოწინავედ მავალი მეორე სრიალისას ტრასის ბოლო მეტრებზე წაიქცა და ქულაც არ შემატებია. გაიმარჯვა კი ფრანგმა და აუცილებელია დაისვას შეკითხვა, რომელიც სეზონის დასაწყისიდანვე მწიფდება: ნუთუ რეჟინ კავანიუს სიკვდილი სჭირდებოდა ფრანგული სამთოთხილამურობის ახლანდელ აღმავლობას, რომელიც წლეულს შეინიშნება? ფრანგები იგებენ ეტაპებს, ხშირად არიან პოდიუმის სხვა საფეხურებზეც და ეს არ იყო ხშირი ამბავი.

მაგალითად, მსოფლიოს თასზე სლალომის ეტაპი ფრანგმა ბოლოს თურმე 33(!) წლის წინ მოიგო. მისი სახელია პატრიკ რუსელი, ხოლო შაბათს ჟან პიერ ვიდალი გახდა გამარჯვებული, რომელმაც ჟურნალისტებთან საუბრისას თავის მიღწევას ბარე ორჯერ უწოდა ფანტასტიკური. ფავორიტებში ირიცხებოდა ავსტრიელი მარიო მატი, მაგრამ მეორე ადგილს დასჯერდა.

„მეორე ადგილი ძალიან კარგია, მაგრამ არა ის, რაც მიზნად მქონდა — თქვა ავსტრიელმა გულისტკივილით — დღეს მე სიზუსტე დამაკლდა, თორემ გამარჯვება შემეძლო, საყვედური განსაკუთრებით მეორე სრიალისას მეთქმოდა".

ასობით ხორვატი გადავიდა სამეზობლოში განთქმული იანიცას ძმის, ივიცა კოსტელიჩის საყურებლად. მან ადრე ერთი ეტაპი მოიგო და ახლა მასაც მთელი ხორვატია ქომაგობს. შაბათს კოსტელიჩს არა უშავდა, მესამე ადგილზე გავიდა.

საავადმყოფოში წაიყვანეს ნორვეგიელი მარტე ფიელდავლიე, რომელიც აღწერილი მოვლენებიდან დასავლეთით, შვეიცარიულ სანქტ მორიცში ქალთა სუპერგიგანტის მონაწილე გახლდათ. მან მუხლი დაიზიანა, ხოლო თვით ეტაპის მსვლელობა მეტად სასეირო გამოდგა. ტრასაზე გასული პირველი ხუთი მანდილოსნიდან ოთხმა ფინიშს ვერ უწია. უიღბლოებში ერივნენ სწრაფდაშვების მსოფლიოს თასის მფლობელი იზოლდე კოსტნერი და სუპერგიგანტში ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონი მიხაელა დორფმაისტერი, რომელიც დღეისთვის მსოფლიოს თასის ლიდერი გახლავთ. პრეტენზიები ბუნებრივად გაისმა. გზასაცდენილებმა დილის ვარჯიშის შემდეგ „ჭიშკრების" კონფიგურაციის შეცვლაზე იწუწუნეს, თუმცა მათ პოდიუმის წევრები პრინციპულად არ დაეთანხმნენ. მათი კომენტარი შაბლონური გახლდათ: პირობები ყველასთვის ერთი იყოო.

გაიმარჯვა იტალიელმა კარენ პუტცერმა.

„მიყვარს სუპერგიგანტი — თქვა მან შემდეგ — იგი საშუალოა სწრაფდაშვებასა და სლალომებს, ესე იგი, სისწრაფესა და ტექნიკას შორის, ამიტომ ყველაზე მეტად დავამულამე. ჯერ კიდევ საბაგიროს სკამზე ვიჯექი, როცა ამდენი ტიტულიანი მოთხილამურის მარცხი ვნახე ან შევიტყვე. მწვრთნელმა შემატყობინა, შანსები გაქვს და მთლად ჭკუას ნუ დაკარგავ, მაგრამ სრიალში მეტი აგრესია ჩააქსოვეო".

მეორე ადგილზეც იტალიელი გავიდა, მესამე კი ორმა გაიყო, რაც სამთო თხილამურობაში იშვიათად ხდება.

**დავით გულუა**


REUTERS კრანსკა გორიდან

სლოვენიის და სოკ-ის პრეზიდენტებმა, მილან კუჩანმა და ჟაკ როგმა სამთო თხილამურობისთვისაც მოიცალეს

ეროვნული ბიბლიოთეკა


REUTERS ნიუ იორკიდან

## ხა-ხა-ხა

ნიუ იორკის „მედისონ სკვერში", იქ, სადაც მაიკ ტაისონს დიდი ბრძოლები გადახდენია, იმ დღეს კალათბურთის მოედანი იყო დაგებული და „ნიუ იორკ ნიქსი" „ვაშინგტონ ვიზარდსთან" 86:87 დამარცხდა. და ტაისონი? ტაისონი ტრიბუნაზე ბრძანდებოდა, არხეინად იყო და ჰოლივუდის ვარსკვლავი ბილი ბოლდუინი აცინებდა.


REUTERS ბრუკლინიდან

## ვაშინგტონში ვაშინგტონთან

სერავს და კვეთს ოლიმპიური ჩირაღდანი ამერიკის გზებსა და ქალაქებს. სოლტ ლეიკ სიტისკენ მიიწევს, სადაც ზამთრის თამაშები ეგულება. ხოლო მეჩირაღდნეები, ბუნებრივია, იცვლებიან. ნიუ იორკში, მაგალითად, ბრუკლინის მოსახლეობას ოლიმპოს მთიდან მოპოვებული ცეცხლი ინვალიდის სკამს მიჯაჭვულმა ჰოლივუდის ვარსკვლავმა, თავის დროზე სუპერმენის როლის შემსრულებელმა კრისტოფერ რიივსმა ჩამოუტანა, ხოლო ვაშინგტონში პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონ ბუშს ელიზაბეტ ჰოუ ეახლა და... ჩაუქრა.


REUTERS ოკლენდიდან

## ოკლენდმა თავი დახარა

„სარბიელის" მკითხველს მოეხსენება, რომ ბრაზილიაში, ამაზონზე, მეკობრეებმა დიდი ზღვაოსანი, 53 წლის სერ პიტერ ბლეიკი მოკლეს. და სწორედ სერ ბლეიკის ხსოვნას მიეძღვნა ის დღე, როდესაც ოკლენდის მოსახლეობა „ომის მემორიალთან" შეიკრიბა. იქ იყვნენ ზღვაოსნის ოჯახის წევრებიც, ქვრივი, ლედი პიპა ბლეიკი და შვილები სარა-ჯეინი და ჯეიმსი, რომელთაც გიგანტურ ეკრანზე სერ ბლეიკის გამოჩენამ ცრემლი მოგვარა.


REUTERS ოკლენდიდან


REUTERS ვაშინგტონიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge